# შირაქი

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№11 (9.871)
6—13 აპრილი 2019 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა


# თავისუფლება ისე არ მოდის...




გვ. 3

მადლობა თავისუფლებისთვის!



გვ. 4

## საქართველო თამბაქოს კვამლის გარეშე!

## სოფელ ოზაანში სატაცურის წარმოება დაიწყეს




გვ.5

## „იყო სათნო და კეთილი, თურმე არც ისე ძნელია“

გვ. 6





## დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიცირებული პროექტი „ერთი დღე სოფელში“ განახლდა

გვ. 2

## მიუსაფარი ძაღლები, კანონი და საზოგადოება



გვ. 2

## ტრენინგი მეწარმეობის თემაზე – მოზარდებისთვის

საზღვრისპირა სოფლების ახალგაზრდების გეგმები





გვ. 5

C M Y K

## დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიცირებული პროექტი „ერთი დღე სოფელში განახლდა



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი პროექტის „ერთი დღე სოფელში“ ფარგლებში სოფელ გამარჯვებას მოადგილესთან, დავით ფხოველიშვილთან და მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსთან, დოდო ხუნაშვილთან ერთად ესტუმრა.

მერი თანამშრომლებთან და მერის წარმომადგენელთან, ზვიად ზვიადაურთან ერთად სოფლის მაცხოვრებლებს შეხვდა და არსებულ პრობლემებს გაეცნო.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა გამარჯვებაში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებიც დაათვალიერა.

აღსანიშნავია, რომ დაწყებულია ცენტრალური ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოები, რომელიც გამარჯვებელებმა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შეარჩიეს, ხოლო სკოლის სრული რეაბილიტაცია დასკვნით ეტაპზეა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, მის მიერ ინიცირებული პროექტი – ერთი დღე სოფელში – აქტიურად გაგრძელდება. პროეექტის ფარგლებში მერი მოსახლეობას უბნებში ეწვევა და მათ პრობლემებს უშუალოდ ადგილზე გაეცნობა.

## ირაკლი კობახიძე - ოკუპირებულ ტერიტორიაზე ძალიან მძიმე სურათია და მთავარი დამნაშავე არის ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი

პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ოკუპირებულ აფხაზეთში ნარკოპოლიტიკის გამკაცრებას ეხმაურება. როგორც კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ის არის არალეგიტიმური ხელისუფლების მიერ მიღებული კიდევ ერთი არალეგიტიმური გადაწყვეტილებაა, მასზე სერიოზული განცხადების გაკეთება არ ღირს.

„ეს მიუთითებს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ძალიან მძიმე სურათია და მთავარი დამნაშავე არის ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი. ეს არ არის ერთადერთი პრობლემა, რომელიც ადამიანის უფლებათა კუთხით არის შექმნილი. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ გამოვასწოროთ მდგომარეობა. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ამ ტერიტორიაზე მცხოვრები არა მხოლოდ ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის დაცვა, არამედ აფხაზებისა და ოსების დაცვა. სამწუხაროდ, ჩვენი რესურსები არის შეზღუდული, ისევე როგორც ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების. თუმცა გვესმის, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ადამიანის უფლებები უნდა იყოს დაცული“, - განაცხადა კობახიძემ.

შეგახსენებთ, აფხაზური მედიის ინფორმაციით, ოკუპირებულ აფხაზეთში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაზე უვადო პატიმრობა ან სიკვდილით დასჯა შემოიღეს.

## საქართველოსა და აშშ-ს შორის შესაძლოა პირდაპირი ფრენები დაიწყოს

„ვმუშაობთ, რომ რაც შეიძლება დროულად დაიწყოს ფრენები ამერიკისა და საქართველოს შორის“, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ 4 აპრილის ბრიფინგზე განაცხადა.

პრემიერის თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია, აშშ-სა და საქართველოს შორის დაიწყოს პირდაპირი ავიარეისები, რაც ქვეყანას დაეხმარება, რომ ერთი ორად გაიზარდოს ის ეკონომიკური პოტენციალი, რაც არსებობს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის თვალსაზრისით.

„ჩვენ ვცდილობთ აშშ-სთან განვავითაროთ ეკონომიკური თანამშრომლობა, გავხადოთ ის კიდევ უფრო ღრმა. აშშ-სა და საქართველოს შორის ურთიერთობები არასდროს ყოფილა ასეთ მაღალ დონეზე და ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენს ქვეყნებს შორის დაიწყოს პირდაპირი ავიარეისები, შესაბამისად, ეკონომიკის სამინისტრო მუშაობს ეკონომიკურ კვლევაზე, რომელიც რამდენიმე კვირაში დასრულდება. ეს დაგვეხმარება ჩვენ, რომ მოვიძიოთ შესაბამისი კომპანია, რომ რაც შეიძლება დროულად დაიწყოს ფრენები ამერიკისა და საქართველოს შორის. პირდაპირი ავიარეისები დაგვეხმარება, რომ ერთი ორად გავზარდოთ ის ეკონომიკური პოტენციალი, რაც არსებობს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის თვალსაზრისით”, - განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

## კობა გვენეტაძე - ეროვნული ბანკის პრინციპული ზედამხედველობის შედეგად, საქართველოს საბანკო სისტემა ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია რეგიონში

სწორედ ეროვნული ბანკის პრინციპული ზედამხედველობის შედეგად, საქართველოს საბანკო სისტემა ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია რეგიონში, - ამის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ პარლამენტში პლენარულ სხდომაზე „თიბისი ბანკის“ საქმეზე საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, ეროვნული ბანკი დამოუკიდებელი, აპოლიტიკური ორგანიზაციაა, რომლის საქმიანობა, მათ შორის საზედამხედველო პოლიტიკა, შეფასებულია არაერთი საერთაშორისო, პრესტიჟული ორგანიზაციის მიერ და ეს შეფასება არის ყოველთვის საუკეთესო.

,,ეროვნული ბანკი საუკეთესო და სამაგალითოა სხვა, მათ შორის, განვითარებული ქვეყნებისთვისაც. ეს შეფასებები ეფუძნება კვლევებს, ინტერვიუებს, შემოწმებებს, გამოკითხვებს, არამხოლოდ საქართველოში, არამედ ჩვენს პარტნიორ ქვეყნებშიც. სწორედ ეროვნული ბანკის პრინციპული ზედამხედველობის შედეგად, საქართველოს საბანკო სისტემა ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია რეგიონში. უკომპრომისო საბანკო ზედამხედველობის შედეგია, რომ საქართველოდან ორი მსხვილი ბანკის აქციები საერთაშორისო ბაზარზეა განთავსებული და საერთაშორისო ინვესტორების მაღალი ნდობით სარგებლობს. საერთაშორისო ორგანიზაციების დადებითი შეფასებაც ადასტურებს, რომ ეროვნული ბანკი სწორ საზედამხედველო პოლიტიკასა და წარმატებულ რეფორმებს ატარებს და ჩემი მოვალეობაა მივიღო საჭირო, ზოგჯერ რთული და არაპოპულარული ზომები სისტემაში რისკების შესამცირებლად, მიუხედავად სხვადასხვა გავლენის ჯგუფების ინტერესებისა,“ - განაცხადა კობა გვენეტაძემ.

ასევე, კობა გვენეტაძემ საკუთარ უწყებაზე საუბრისას ისიც განაცხადა, რომ სადავო საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ სასამართლოში უნდა ხდებოდეს.

ქვეყნის მთავარი ბანკირის განცხადებით, პარლამენტის სხდომებზე საზედამხედველო ღონისძიებების განხილვა რისკის ქვეშ დააყენებს ქვეყნის საფინანსო სექტორის მდგრადობას.

როგორც მან სესიაზე განაცხადა, საფინანსო სექტორი ეკონომიკის ის სექტორია, რომელიც ყველაზე მეტად საჭიროებს მშვიდ გარემოს. შესაბამისად, შექმნილი აჟიოტაჟი საფინანსო სექტორის განვითარებაზე დადებითად არ აისახება.

მისივე განმარტებით, პარლამენტის სხდომებზე კონსტიტუციით უზრუნველყოფილი დამოუკიდებელი მანდატის მქონე რეგულატორის მიერ განხორციელებული საზედამხედველო ღონისძიებების განხილვა, მით უფრო კონკრეტული საზედამხედველო ზომების გამოყენების თაობაზე, აყალიბებს საფრთხის შემცველ პრაქტიკას, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს საზედამხედველო ორგანოს დამოუკიდებლობას, გამოიწვევს საზედამხედველო ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელების შეზღუდვას და საბოლოო ჯამში, რისკის ქვეშ დააყენებს ქვეყნის საფინანსო სექტორის მდგრადობას.

# მიუსაფარი ძაღლები, კანონი და საზოგადოება

## მერია მაწანწალა ძაღლების პრობლემის მოგვარებას იწყებს

*ტოტია დიდი, თეთრი ძაღლია. აღნაგობაზე ეტყობა, რომ მის გენებში კეთილშობილი სისხლი ჩქეფს.*

*სახელიც ყოფილმა პატრონმა ამის მიხედვით შეურჩია, მგელს რომ მედგრად შებრძოლებოდა. იყო დრო, კავკასიური ნაგაზი ცხვრის ფარას მწყემსავდა და იცავდა. ის, ცხვარი და პატრონი განუყრელი მეგობრები იყვნენ...*

*ეს იყო საუკეთესო დრო მის ცხოვრებაში. ერთ დღესაც პატრონი ავად გახდა, საავადმყოფში გადაიყვანეს და მას შემდეგ აღარ უნახავს. რამდენიმე დღეში მისი შვილი მოვიდა, ცხვრის ფარა გაყიდა. ძაღლს ზედაც არავინ შეხედა...*

*დარჩა ტოტია დაცარიელებულ ფერმაში მარტოდმარტო. რამდენიმე დღეში იძულებული გახდა, ფერმა დაეტოვებინა და დასახლებული ტერიტორიისკენ აეღო გეზი, რათა შიმშილით არ მომკვდარიყო. უკან მიიხედა, თვალებში ცრემლი ჩაუდგა... უკანასკნელად შეხედა იმ ადგილს, რომელთანაც საუკეთესო მოგონებები აკავშირებდა...*

*სოფელს რომ მოადგა, შიშმა შეიპყრო. სად უნდა ეცხოვრა, ან როგორ უნდა ეშოვა საჭმელი? გზის პირას ნაგვის ბუნკერი დაინახა, რომელიც გახდა მისი საკვების წყარო. უპატრონოდ დარჩენილის სევდა არავის ესმოდა, მიუსაფარს ადამიანები დევნიდნენ, ზოგმა ჯოხი მოუქნია, ზოგმაქვა ესროლა... ჭუჭყიანსა და მოუვლელს ყველა ერიდებოდა. როგორ არ ჰგავდნენ ეს ადამიანები მის კეთილ პატრონს! მისგან განებივრებულს ასეთი მოპყრობა უკვირდა, მაგრამ მალე მიხვდა, როგორ გაუუცხოვდა ადამიანი – ერთ დროს საუკეთესო მეგობარი... თავდაცვის მექანიზმმა მუშაობა დაიწყო. აგრესიული გახდა. მალე თავისნაირ, მოძულებულ ძაღლებს დაუმეგობრდა და „საძმოც“ შექმნა. კონკრეტულ არეალს ერთად აკონტროლებენ, სხვებს აქ არაფერი ესაქმებათ...*

*ტოტიას დანახვისას ძარღვებში სისხლი ეყინებათ ადამიანებს, განსაკუთრებით პანიკაში ვარდებიან ბავშვები. მისი მიახლოებისას ადამიანები ამბობენ, რომ „კბენის გარეშე კვდებიან“...*

ტოტია ერთადერთი პრობლემა არაა დედოფლისწყაროში. მისი მსგავსი უამრავი ძაღლია, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მოქალაქეების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას.

**„ძაღლები ძალიან გვაწუხებენ, პატარა ბავშვები ქუჩაში ვერ გამოგვიშვია. მე თვითონ ამხელა ადამიანი ვარ, მაგრამ ძაღლების ძალიან მეშინია. ეს ძაღლები ხროვა-ხროვა დადიან, ერთი და ორი რომ იყოს, კიდევ ისე არ შეგეშინდება. ათი ძაღლი რომ ატეხავს ყეფას, ბავშვს ზოგჯერ ვერც ვაძინებ“** - ამბობს ახალგაზრდა დედა.

**„ამასწინათ საშინელი ფაქტის მომსწრე გავხდი. ფანჯრიდან დავინახე, 5-6 წლის ბავშვი კედელთან როგორ მიიმწყვდია ორმა მაწანწალა ძაღლმა. ბავშვი განწირული ითხოვდა შველას. იქვე არავინ იყო. ბედად, მაღაზიიდან გამოვიდა ვიღაც და დაეხმარა. არ უკბინეს, მაგრამ ძალიან შეაშინეს. შიშის საფუძველზე კი, ჯანმრთელობის უამრავი პრობლემა შეიძლება, გაუჩნდეს“**-ყვება თვითმხილველი, რომელმაც მაღალსართულიანი კორპუსიდან ვერ შეძლო ბავშვის დახმარება.

მაწანწალა ძაღლები სერიოზული და გადაუჭრელი პრობლემაა საქართველოში და, მათ შორის, დედოფლისწყაროშიც. ადამიანების დაშინების გარდა სირთულეს ქმნის ის ფაქტორიც, რომ ძაღლები აცრილები არ არიან და მოსახლეობა ცოფის გავრცელების რისკის წინაშე დგას.

ადრე მაწანწალა ძაღლების პრობლემას მათი ლიკვიდაციით აგვარებდნენ, დღეს მიდგომა მკვეთრად შეიცვალა, მეტად ცივილური გახდა. ცხოველთა დამცველები ამბობენ, რომ ძაღლების დახოცვა არაჰუმანური ნაბიჯია და ის არანაირ ჩარჩოში არ ჯდება. მათი აზრით, „პირველ რიგში, აუცილებლად საჭიროა და მისახედი კანონმდებლობა ცხოველთა დაცვასთან დაკავშირებით, პარალელურად უნდა მოხდეს საგანამანათლებლო დაწესებულებებში ბავშვების აღზრდა ამ მიმართულებით და ასევე, სახელმწიფომ უნდა გამოყოს თანხები უპატრონო ცხოველების პრობლემების მოწესრიგებისათვის და პოპულაციის კონტროლისათვის, უნდა აშენდეს თავშესაფრები.... და ეს პრობლემა ნელ-ნელა მოგვარდება.“ - ამბობენ ისინი.

მათ მიდგომას იზიარებენ სამთავრობო სტრუქტურებშიც. კახეთის რეგიონში მიუსაფარი ძაღლების თავშესაფრის



მშენებლობა გურჯაანშია დაგეგმილი. მაგრამ მანამდე, სანამ ეს თავშესაფარი ამოქმედდება, მოსახლეობა ხელისუფლებისგან რეაგირებას და პრობლემის მოგვარებას ითხოვს.

როგორც დედოფლისწყაროს მერიაში განმარტავენ, უახლოეს დღეებში შესაბამისი სამსახურის მიერ დედოფლისწყაროში ქუჩის ძაღლების დაჭერა და მათი გაუვნებელყოფა მოხდება. კასტრაციისა და შესაბამისი მკურნალობის შემდეგ თითოეულ მათგანს ყურზე სპეციალურ ნიშანს შეაბამენ და კვლავ დედოფლისწყაროში დააბრუნებენ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის აგრესიული ძაღლი აღმოჩნდება, მათ ქუჩაში აღარ გაუშვებენ.

**„მოგეხსენებათ, ძაღლების დახოცვა დიდი ხანია აღარ ხდება, ვცდილობთ, ჰუმანური გზებით მოგვარდეს პრობლემა. სამწუხაროდ, არც ძაღლების გადაყვანა აღმოფხვრის ამ მტკივნეულ საკითხს. ძაღლებს თავიანთი ადგილები აქვთ, თუ რამდენიმე ძაღლს სხვაგან გადაიყვან, მათ ადგილს სხვა ცხოველები დაიკავებენ. ცნობილია, რომ კახეთში თავშესაფარი უნდა ამოქმედდეს, რომლის ფუნქციონირებისთვის ყველა რაიონი შესაბამის თანხებს გამოყოფს. ვიდრე ეს მოხდება, ვფიქრობთ, მანამდე კასტრაცია საუკეთესო გამოსავალია, რაც უპატრონო ცხოველის გამრავლებისგან დაგვიცავს. თავის მხრივ, ჩვენს მოქალაქეებსაც ეცოდინებათ, რომ თუკი ძაღლი დანომრილია და ყურზე ნიშანი აქვს, მისგან საფრთხე არ ემუქრებათ,“** - განაცხადა დედოფლისწყაროს მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

დედოფლისწყაროელებისთვის მისაღებია მიუსაფარი ცხოველების პრობლემის გადაჭრის ეს გზა. ისინი ამბობენ, რომ კარგია, თუკი ცოცხალ არსებებს „ბართლომეს ღამეს“ აღარ მოუწყობენ და ცივილური მეთოდებით ეცდებიან მაწანწალა ძაღლების საკითხის მოგვარებას. პრობლემის გადაჭრის ამ სქემით ტოტიასაც აღარ დაემუქრება ტყვიით ანდა ცოფით სიკვდილი. მკურნალობის შემდეგ ის ახალ სამშვენისს შეიძენს და სპეციალური ბირკით მშვიდად ისეირნებს დედოფლისწყაროს ქუჩებში, რადგან ეცოდინება, რომ მისი მიახლოვება აღარ დააფრთხობთ და შეაშინებთ ადამიანებს...

ინგა შიოლაშვილი

# „თავისუფლება ისე არ მოდის“...

**9 აპრილი საქართველოს ისტორიაში ორ მნიშვნელოვან მოვლენას აერთიანებს – 1989 წლის ტრაგედიასა და დამოუკიდებლობის აღდგენას 1991 წელს. რუსული ჯარის მიერ თბილისში 21 ადამიანის მოკვლამ საყოველთაო დაუმორჩილებლობა გამოიწვია, რაც, საბოლოოდ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით დასრულდა.**

## მოვლენები, რომელიც წინ უძღვოდა 9 აპრილის ტრაგედიას

9 აპრილის ტრაგედიამდე 3 კვირით ადრე აფხაზეთში ე.წ. ლიხნის ასამბლეა ჩატარდა, რომელზეც საქართველოს აფხაზი მოსახლეობის ნაწილმა საქართველოსგან გამოყოფა და რესპუბლიკის სტატუსი მოითხოვა.



ამერიკის შეერთებული შტატების საარქივო დოკუმენტებში, რომლებიც ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) გამოითხოვა, წერია, რომ 1989 წლის 15 მარტს აფხაზეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ბორის ადლეიბამ ხელი მოაწერა პეტიციას საბჭოთა კავშირისა და საქართველოს უმაღლესი საბჭოს სახელზე, რომელიც აფხაზეთისთვის საკავშირო რესპუბლიკის სტატუსის მინიჭებას, ან მოსკოვის პირდაპირ დაქვემდებარებაში გადასვლას მოითხოვდა.

აფხაზეთში სეპარატისტული განწყობების გაძლიერების პარალელურად, სეპარატიზმისა და მოსკოვის ანტიქართული პოლიტიკის წინააღმდეგ მშვიდობიანი აქციები დაიწყო. 4 აპრილს, მთავრობის სახლის წინ ათიათასობით ადამიანი შეიკრიბა, მათ დაიწყეს შიმშილობა, მეორე დღეს მათი რაოდენობა უფრო გაიზარდა.

5 აპრილს თბილისი პარალიზებული იყო. გაიფიცნენ მუშები, დაიხურა სასწავლო დაწესებულებები. ქართულ მედიას იმ დღეს მიმდინარე აქციები არ გაუშუქებია. ადგილობრივმა საბჭოთა ხელისუფლებამ სიტუაციაზე კონტროლი დაკარგა.

აშშ-ს სახელმწიფო არქივის ერთ-ერთი დოკუმენტის (1989 წლის 7 აპრილი) მიხედვით, 6 აპრილს საოლქო კომიტეტმა თანამდებობიდან გადააყენა აფხაზეთის პირველი მდივანი ადლეიბა, აფხაზეთისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების მოთხოვნის გამო, რასაც 7 აპრილს აფხაზეთში მისი მხარდამჭერი აქცია მოჰყვა. აღნიშნულ დოკუმენტში საუბარია დემონსტრაციის ქართველ ლიდერებს შორის შეუთანხმებლობაზე. მოძრაობა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ და „რუსთაველის საზოგადოების“ ლიდერები მიიჩნევდნენ, რომ აქციის დროს პროტესტის მთავარი თემა უნდა ყოფილიყო აფხაზეთის საკითხი, ხოლო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წარმომადგენლები მოითხოვდნენ, რომ კონცენტრირება მომხდარიყო ერთ, საქართველოს სსრკ-დან გამოსვლის, მოთხოვნაზე.

## 9 აპრილის სადამსჯელო ოპერაცია

7 აპრილს საქართველოს კომპარტიის პირველმა მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა მოსკოვში, საბჭოთა ხელმძღვანელობას წესრიგის აღსადგენად დამხმარე ძალების გამოგზავნა სთხოვა. იმავე დღეს პერმიდან და ვორონეჟიდან თბილისში შემოვიდნენ საგანგებო დანიშნულების მილიციის რაზმები. 8 აპრილს, აშშ-ს საიდუმლო სამსახურების სახელზე გაგზავნილ დაშიფრულ ცნობაში წერია, რომ საქართველოში არსებობს ეთნიკური კონფლიქტის საფრთხე. დოკუმენტში პარალელია გავლებული მთიანი ყარაბაღის გარშემო დაწყებულ სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტთან.

9 აპრილს, 11 საათზე, თბილისში კომენდანტის საათი გამოცხადდა. ამის შესახებ ცნობა მოსახლეობამ 22 საათსა და 15 წუთზე მიიღო. ქალაქის სამხედრო კომენდანტად დაინიშნა საბჭოთა არმიის გენერალი იგორ როდიონოვი. სწორედ ის იყო 9 აპრილის სადამსჯელო ოპერაციის ხელმძღვანელი.

9 აპრილს, გამთენიისას, რუსულმა არმიამ რუსთაველის გამზირზე შეკრებილი მშვიდობიანი დემონსტრანტების დაშლა დაიწყო. აქციის დარბევისას საბჭოთა ჯარმა გამოიყენა მომწამვლავი ქიმიური საშუალებები, ცეცხლსასროლი იარაღი, სასანგრე ბარები, ჯავშანტრანსპორტიორები და ტანკები. იმ ღამის დარბევას 20 ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო ერთი მოქალაქე კომენდანტის საათის დროს მოკლეს რუსმა ჯარისკაცებმა.

ამ დღეს ასობით ადამიანი დასახიჩრდა, დემონსტრანტების დიდი ნაწილი მოიწამლა. უცნობია დაზარალებულების ზუსტი რიცხვი და ასევე, რა ზიანი მიადგა მათ ჯანმრთელობას.

## როგორ იხსენებენ სისხლიან დარბევას თვითმხილველები

**გელა არაბული,** დაზარალებული: „როდესაც ლენინის მოედნიდან (მაშინდელი) ჯავშან-ტრანსპორტიორები წამოვიდნენ, მთავრობის სასახლის მარჯვენა მხარეს, კიბეზე ვიდექი. ჯარისკაცები მოდიოდნენ ფარებით, ნიჩბებით და ხელკეტებით. ხალხი წყნარად იჯდა, არავინ არაფერს აშავებდა, არავინ დგებოდა, ხმას არავის სცემდა. დაახლოებით, ხუთი წუთი იდგნენ ჯარისკაცები. უცბად დაიწყეს ხალხის ცემა. მალე მათ ჩიტაძის ქუჩიდან ჩამოეშველნენ სხვა ჯარისკაცები”.

**სოსო პაიჭაძე:** “ცხრა აპრილს, სისხამ დილით გავედი მთავრობის სახლთან. შემზარავი სანახაობა გადამეშალა თვალწინ: კიბეებზე, ქვაფენილზე, ქუჩებზე, მარადმწვანე ბუჩქებზე, ყველგან და ყველაფერზე, რასაც მზერა სწვდებოდა, მიმოფანტულიყო ტანსაცმლის ნაგლეჯები, ფეხსაცმელები, ძირითადად ქალის, ქუდები, ქაღალდის ნაკუწები, ერთმანეთში არეული, აღუფხული ხელჩანთები,ხელჩანთებიდან წამოყრილი სავარცხლები, პატარა სარკეები, ცხვირსახოცები; თავსაფრები, გაზეთების ნაფლეთები, დანაკუწებული ქურთუკები, პარფიუმერიის ნამსხვრევები, ნაირგვარი ფერის ქსოვილის ნახევები, ბიჟუტერია. ასფალტზე ჯერ კიდევ ჩანდა ჯავშნიანი მანქანების მუხლუხების კვალი, ქვაფენილზე კი შემზარავად მბზინავი სისხლის ლაქები”.

## დამოუკიდებლობის აღდგენა

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, დამოუკიდებლობის აღდგენამ შეუქცევადი პროცესის სახე მიიღო. 1991 წლის 31 მარტს, საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, ერთიანი საქართველოს მასშტაბით ჩაატარა რეფერენდუმი, სადაც საქართველოს მოსახლეობას ერთადერთი კითხვა დაუსვეს: **„თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის შესაბამისად?”**

რეფერენდუმში ქართველი ამომრჩევლის 90%-მა მიიღო მონაწილეობა, მათგან 98%-მა დამოუკიდებლობა აირჩია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გამოკითხვაში მონაწილეობდნენ ჯერ კიდევ საქართველოს კონტროლის ქვეშ მყოფი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებნი.

1991 წლის 9 აპრილს, 2 წლის წინ რუსეთის არმიის მიერ მოკლულთა პატივსაცემად, საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ერთიანი საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.



# ჩემი ცხრა აპრილი...

1989 წლის 9 აპრილს საქართველოს ისტორიის ახალი ფურცელი გადაიშალა. მართალია, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე ჯუმბერ პატიაშვილი გივი გუმბარიძემ შეცვალა და კომუნისტური მმართველობა დარჩა,მაგრამ სახელმწიფო ინსტიტუტები ფაქტობრივად თვითლიკვიდაციის რეჟიმში მუშაობდნენ.

1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას, რუსთაველზე ჩატარებული სისხლიანი, სადამსჯელო ოპერაციის შემდეგ თბილისის ქუჩებში მანქანების გაბმული საყვირი თითქოს იყო მსხვერპლის გაღებით დამსახურებული მისალმება ასე ნანატრ, მაგრამ უცნობ თავისუფლებასთან.1989 წლის 9 აპრილიდან ზუსტად მეორე წლისთავზე საქართველოს უზენაესმა საბჭომ, ზვიად გამსახურდიას მეთაურობით, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიიღო და 9 აპრილი საქართველოს უახლეს ისტორიაში ჩაეწერა ტრაგედიის და ამავდროულად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ.

ოცდაათი წელი გავიდა მას მერე. ბედნიერი ვარ, რადგან მაშინ, როცა ჩემი სამშობლოს დამოუკიდებლობა იჭედებოდა, თითქმის ყველა მიტინგის მონაწილე ვიყავი., გავიდა წლები და ის ბედნიერი დღეები მახსენდება, როცა მთელი ერი ერთად იყო. არასოდეს დამავიწყდება 9 აპრილის დილა, როდესაც ორი დღით სახლში ჩამოსული თბილისში დავბრუნდი. კახეთის გზატკეცილზე შემხვედრმა ტანკებმა გვერდი აგვიარეს, ავტობუსში ყველა შევშფოთდით. მოგეხსენებათ, მაშინ კომუნიკაციის ნაკლებობა იყო და ჯერ არ ვიცოდით, რა მოხდა თბილისში. შემდეგ მეტროთი გავაგრძელე გზა სახლამდე, ვაგონებში შავბაფთიანი ახალგაზრდები რომ მოძრაობდნენ, მივხვდი, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დიდი ცვლილება იყო მომხდარი. სახლში მისულს ბიძაშვილებმა გაოცებით მკითხეს, მამიდამ როგორ გამოგიშვა ასე მარტო ამ ომშიო და ყველაფერი დაწვრილებით მომიყვნენ. იმ ღამეს სახლში არავის გვეძინა, დილით ბიცოლამ მთხოვა, რამოდენიმე დღე სახლიდან არ გავსულიყავით არავინ, მითუფრო მე, რადგან, ხმა გავრცელდა, რუსი სამხედროები მკაცრად ამოწმებენ საბუთებსო, გარკვეულ შეზღუდვებზეც იყო საუბარი, დედაქალაქში ჩაუწერელ პირებთან დაკავშირებით(დეტალები არ მახსოვს), მაგრამ, ზუსტად მახსოვს, როგორც ოჯახის უფროსები სამსახურში გავიცილე და ბიძაშვილები ლექციებზე, მაშინვე გავეშურე რუსთაველზე, ასეთ დროს სახლში ყოფნა, უბრალოდ, წარმოუდგენლად მიმაჩნდა. მთავარ გამზირზე იმ სისხლის გუბეებს რეცხავდნენ სპეციალური მანქანებით, რომელმა დაღვრილმა სისხლმაც სრულიად ახალი მუხტი შესძინა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას, ხალხი კანტი-კუნტად მოძრაობდა ქუჩაში, ადამიანები შოკიდან არ იყვნენ გამოსულები, დავდიოდი ქუჩებში და მინდოდა, ჩემი სამშობლოს ტკივილი გამეზიარებინა, მისი ემოცია მეგრძნო, რადგან, შეუძლებელია, იყო შენი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი- მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას მიტინგების მონაწილე და ოდესმე ამ გრძნობამ უკვალოდ გაიაროს, ოდესმე აქ მოსმენილი „შავლეგო“ დაგავიწყდეს, ოდესმე სამშობლო სხვანაირად არ გტკიოდეს!...

ამაყად მივუყვებოდი კომენდანტის საათში მყოფ და სამხედროებით სავსე დედაქალაქის მთავარ მოედნებს 17 წლის სტუდენტი და ვფიქრობდი, აბა, გაბედონ და საბუთები მომთხოვონ მეთქი, (ეს ზუსტად მახსოვს), ზუსტად მახსოვს 9 აპრილის ღამის ერთ-ერთი მონაწილის მიერ ხეზე ამოტვიფრული სტრიქონები:“შენს დასაცავად მოვედი, ასე ურჩი და აშარი, ღმერთმა სიცოცხლე მაშოროს, შენი მტრის ნაფეშქაშარი!“...

მას მერე 30 წელი გავიდა და ვფიქრობთ, რა როლი შეასრულა 30 წლის წინანდელმა ტრაგედიამ საქართველოს იმ გზით სვლაში, რა გზითაც არჩია მან დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა? ეს იყო თავგანწირვის მაგალითი და ამ დღეს დაღვრილმა სისხლმა შეცვალა არა მხოლოდ ქვეყნის განვითარების ვექტორი, არამედ ქართველი ხალხის ცნობიერება და განმტკიცდა რწმენა იმისა, რომ შესაძლებელია ,თუნდაც შენზე ბევრად აღმატებულ ძალას აღუდგე სიმტკიცით და ვაჟკაცობით.

ამ 30 წელში საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, შედგა და გაიზარდა, მაგრამ თუ გადავავლებთ თვალს საზოგადოებას, ისევ ჭარბად დავინახავთ სამყაროზე გაბრაზებას, მსხვერპლის გაღებისკენ სწრაფვას, რადიკალიზმს . ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვის მაგალითი, რომელიც ამ ადამიანებმა მოგვცეს, ყველა მოქალაქეს გვავალდებულებს, მოპოვებული დამოუკიდებლობა დავიცვათ და დავიცვათ ჩვენს ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობით, პირველ რიგში, სამშობლოს ერთგულებით, ბევრად მეტი კაცთმოყვარეობით, სულგრძელობით და განათლებული თაობებით.

ელზა ხარაშვილი

# საქართველო თამბაქოს კვამლის გარეშე!

***ყოველდღე, დილას თუ შუადღეს, ერთსა და იმავე პრობლემას ვაწყდები. მოვდივარ სამსახურში და შენობაში გაზაფხულის სურნელზე მძაფრად, თამბაქოს „სურნელი“ მაფხიზლებს. პირველად არცოდნას, მეორედ შენობიდან გასვლის სიზარმაცეს, მესამედ კი კანონის უგულებელყოფას რომ დავუკავშირე მოქალაქეების მსგავსი ქმედება, გადავწყვიტე, თუ კი პირადად დავინახავდი მწეველ ადამიანს, პირდაპირ პატრულისთვის შემეტყობინებინა. ჩემი, როგორც არამწეველი მოქალაქის უფლებები ყოველდღე ირღვეოდა. ეს ყველაფერი იმის ფონზე, როდესაც შენობაში გამაფრთხილებელი ნიშნები ყველა სართულზეა განთავსებული. და ეს მხოლოდ ერთი შენობის მაგალითია, პირადი მაგალითი, რომელსაც ყოველდღე ვაწყდები. მსგავსი სიტუაციები ლოგიკურად ბადებს კითხვას: რამდენად მაღალია საზოგადოების ცნობიერება თამბაქოს მოხმარებასთან მიმართებაში? რა შეცვალა 2017 წელს მიღებულმა თამბაქოს კონტროლის საკანონმდებლო ცვლილებამ? რამდენად მოერგო ის საზოგადოებას და როგორ აფასებენ მას საზოგადოების მწეველი, არამწეველი თუ პოტენციურად მწეველი ადამიანები. ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გაცემამდე, გადავავლოთ თვალი ამ კანონის „ავ-კარგიანობას“...***

2017 წელს პარლამენტმა ახალი თაობის თამბაქოს კონტროლის საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი (კანონები თამბაქოს კონტროლის შესახებ, რეკლამის შესახებ, მაუწყებლობის შესახებ, ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ; ადმინისტრაცულ სამართალდარღვევათა კოდექსი) მიიღო, რითიც საქართველო ხდება რეგიონში მოწინავე ქვეყანა თამბაქოს „ეპიდემიასთან“ და მისი მოხმარებით გამოწვეულ ავადობასა და სიკვდილიანობასთან ბრძოლის კუთხით. მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ 2018 წლის 1 მაისიდან დღემდე კანონის აღსრულება საკმაოდ ეფექტურად მიმდინარეობს. აღსრულების დონე სამასპინძლო ბიზნესში 96%-ია.

კანონის მიღების შემდეგ, ცვლილება თამბაქოს ფასსაც შეეხო. 2017 წლის 1 იანვრიდან ერთ კოლოფ ფილტრიან თამბაქოზე აქციზის განაკვეთი 60 თეთრით გაიზარდა და 1.7 ლარი გახდა. უფილტრო სიგარეტზე გადასახადი კი 30 თეთრით გაიზარდა და 0.6 ლარი გახდა. მომატებული აქციზის განაკვეთმა ბუნებრივად იმოქმედა თამბაქოს პროდუქტის ფასების ზრდაზე, რაც სათანადოდ აისახა 2017 წლის პერიოდის ბოლოს დაფიქსირებული წლიური ინფლაციის მაჩვენებელში. 2017 წლის დეკემბერში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოს სამომხმარებლო კალათაში შემავალ პროდუქტებზე ფასები 6.7%-ით იყო გაზრდილი, რაც მაღალი ზრდის მაჩვენებელია. აქედან თამბაქოსა და ალკოჰოლურ სასმელებზე ფასები, სხვა პროდუქტების ჯგუფებთან შედარებით, ყველაზე მეტად, 17.5%-ით გაიზარდა. აღნიშნული გაზრდის წილმა ფასების მატების შესაბამის წლიურ მაჩვენებელში 1.12% შეადგინა. თამბაქოზე აქციზის მატების ეფექტი შესამჩნევი იყო 2018 წლის იანვრის თვის ინფლაციის წლიურ ნიშნულშიც. 2017 წლის პერიოდის ბოლოს მსგავსად, 2018 წლის დასაწყისშიც, თამბაქოსა და ალკოჰოლური სასმელების ჯგუფში ფასების ზრდა ყველაზე მაღალი იყო და 11.5% შეადგინა, რაც ინფლაციის შესაბამის მონაცემში (4.3%) 0.75%-ით აისახა. 2018 წლის თებერვალ-მარტში ინფლაციის მაჩვენებელში აქციზის ზრდის გავლენამ დაიკლო. აქციზის ზრდის რეალური ეფექტი თამბაქოს მოხმარების შემცირების სტატისტიკით უნდა შეფასდეს.

გიორგი, **27 წლის(მწეველი):** „სიგარეტის ფასის ზრდა არანაირად არ ასახულა ჩემს მოწევა-არმოწევის საკითხზე, უბრალოდ, ჩვეულებრივ თამბაქოზე გადავედი. შედარებით უფრო იაფი ჯდება. სიგარეტზე, ადრე, დაახლოებით, თუ მჭირდებოდა საშუალოდ 250 ლარამდე, ახლანდელი გაძვირებული ფასებით, თუთუნის შეძენა მიჯდება 70-დან 90 ლარამდე. რეალურად მოწევისთვის თავი არ დამინებებია, უბრალოდ ალტერნატიული გზა გამოვნახე, რომ არსებულ მდგომარეობას მოვრგებოდი შეძლებისდაგვარად. შეფერხებაც არ მქონია თუთუნის შესყიდვასთან დაკავშირებით, ყოველ ნაბიჯზე შეიძლება შეძენა. ჩემს საახლობლო წრეში, უხეშად რომ ვთქვა, დაახლოებით 80%-მა თუთუნის ალტერნატივას მიმართა. შენობებში მოწევის აკრძალვის კანონს რაც შეეხება, სრულიად ვემხრობი, ვითვალისწინებ და ვემორჩილები. არანაირად არ ვფიქრობ, რომ ამით ჩემი რომელიმე უფლება ირღვევა. პირიქით, ეს ჩემთვის ძალიან მისაღებია, რადგან არიან ადამიანები, რომლებიც არ ეწევიან და შესაბამისად არ სიამოვნებთ რესტორანში, თუ კაფეში, შენს გამო არსებული კვამლი. ეს კანონი, ვფიქრობ, რომ ცნობიერების ამაღლებას ხელს მაინც ვერ შეუწყობს და არსებულ მდგომარეობას ვერ შეცვლის, რადგან ადამიანებმა ისედაც იციან, რომ მოწევა მავნებელია, მაგრამ მაინც ეწევიან. მწეველი მაინც გამოვა გარეთ რესტორნიდან და ერთ საათში რაც ვერ მოწია, რამდენიმე წუთში აინაზღაურებს. დღევანდელი გადმოსახედით ეს კანონი, ჯერ-ჯერობით, ვერ ერგება საზოგადოებას და შემდეგი პერიოდი რას გვიჩვენებს, ვნახოთ.“



შემაშფოთებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში თამბაქოს მოხმარება საკმაოდ ადრეულ ასაკში იწყება. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის ინფორმაციით, მოწევის დაწყების საშუალო ასაკი კაცებში 17.7 ხოლო ქალებში 22.4 წელია. 10 ამჟამინდელი მწეველიდან 6-მა სცადა მოწევისთვის თავის დანებება ბოლო 12 თვის განმავლობაში. მოზარდთა 43.2% თამბაქოს მეორადი კვამლის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა სახლში, ხოლო 58.9% თამბაქოს მეორადი კვამლის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა დახურული ტიპის სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში; STEPS 2016 კვლევის მონაცემების მიხედვით თამბაქოს მეორადი კვამლის ზემოქმედების ქვეშ სახლში იმყოფება ზრდასრული მოსახლეობის 43%, რაც შემაშფოთებელი მაჩვენებელია. ამას ემატება 15.8% სამუშაო ადგილზე. აქედან გამომდინარე, საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი თამბაქოს მეორადი კვამლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფება მისი სურვილის გარეშე. შედეგად, ე.წ. პასიური მოწევით გამოწვეული ნაადრევი სიკვდილის მსხვერპლი ყოველწლიურად 2100 „უდანაშაულო“ ადამიანი ხდება.

ზაზა, **52 წლის (მშობელი):** „ყოფილი მწეველი და ახლა უკვე პოტენციური მწეველიც ვარ, ამიტომ მოწევის ფაქტს ძალიან ნეგატიურად ვუყურებ. ჩემს გარშემო ძალიან ბევრი ჯერ კიდევ ეწევა, მიუხედავად ასაკისა თუ ჯანმრთელობის მდგომარეობისა. ახლა ძალიან ვნანობ, რომ ვეწეოდი. 30 წლის განმავლობაში სანამ ჯანმრთელობის პრობლემები არ შემექმნა, ვერ მივხვდი, რომ სიგარეტი და ზოგადად, თამბაქო, ძალიან მავნე იყო ჯანმრთელობისთვის. ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, არაა სასიამოვნო, როდესაც ვხედავ, რომ საკუთარი შვილი ეწევა. მომწონს, რომ აიკრძალა მოწევა საჯარო დაწესებულებებში, უფრო მკაცრი აკრძალვების მომხრეც ვარ. შენობაში, კაფეში თუ რესტორნებში მწეველები უპირველეს ყოვლისა არამწეველი ადამიანების უფლებებს არღვევდნენ. არსებობს ზღვარი, რომელსაც არ უნდა გადასცდე და არ შელახო სხვისი უფლებები. მაგრამ, მთლიან სურათს რომ შევხედოთ, თამბაქოს მოწევის აკრძალვამ დაწესებულებებში და ფასების ზრდამ ვერაფერი შეცვალა, რადგან ახალგაზრდებმა მაინც გამონახეს მოწევის ალტერნატიული გზები (თუთუნის სახით). თამბაქოს ფასის ზრდა კი რეალურად მხოლოდ მწეველს აზარალებს და ვფიქრობ, რომ ვერ უწყობს ხელს მწეველთა რაოდენობის შემცირებას. მწეველთა რაოდენობა მეტმა ინფორმაციამ, საგანმანათლებლო აქციებმა თუ საინფორმაციო შეხვედრებმა უნდა შეამციროს, ახალგაზრდებს და მოსახლეობას რაც მეტი ეცოდინება სიგარეტის მავნეობის შესახებ, მომავალში კანონების მორგება საზოგადოებისთვის უფრო მეტად შედეგიანი იქნება“.

ნატო, **32 წლის (მშობელი):** „ბოლო დროს არ ვაწყდები მსგავს პრობლემას. პირადად მე არ შევწუხებულვარ თუნდაც ბანკში ან მაღაზიაში.მაგრამ, ადრე განსაკუთრებით მაწუხებდა სიგარეტის კვამლი საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისას.ყველაზე საშინელი დისკომფორტი იყო ჩემთვის. ჩემთვის ზოგადად დისკომფორტია მწეველი ადამიანის გვერდით ყოფნა, იმიტომ, რომ მე არამწეველების ოჯახში გავიზარდე და მიხარია, ჩემი შვილებიც ასეთ ოჯახში რომ იზრდებიან. რაც შეეხება კანონს აკრძალვების შესახებ, არა მგონია, ამ კანონმა შეამციროს მწევლების რაოდენობა. უბრალოდ მოწევამ დახურული სივრციდან გადაინაცვლა ღია სივრცეში. მაგრამ ამ კანონმა ჩემს არჩევანზე, რომ სადმე კაფეში დიდი ხნით წავიდე, იმოქმედა. ახლა, მე შემიძლია, ბავშვებთან ერთად წავიდე კაფეში და არ გამოვიქცეთ 5 წუთში იმის გამო რომ 5 ან 7 ადამიანი ეწევა სიგარეტს და არ მინდა, რომ ჩემმა შვილებმა ისუნთქონ. ყოფილა შემთხვევა, როცა ბევრჯერ გამირიდებია ბავშვები მწეველს ან მე გავრიდებულვარ კვამლით შეწუხებული. მგონია, რომ ეს კანონი უფრო პასიური მწეველების სასარგებლოდაა, რადგან მწეველი ისევ აგრძელებს მოწევას. ალტერნატივა ალბათ ის არის, რომ ადამიანი, რომელიც ეწევა თვითშეგნებამდე მივიდეს, გაანალიზოს ის, თუ რამხელა ზიანს აყენებს პირველი საკუთარ თავს და შემდეგ გარშემომყოფებს. არამწეველებმა უნდა დავიცვათ ჩვენი უფლებები და იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს გარშემო მწეველები კანონს არღვევენ, მკაცრად მოვუწოდებთ, დატოვონ დახურული სივრცე და მოწიონ შენობის გარეთ.“

ასევე დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის ინფორმაციით, საქართველოში თამბაქოს ეკონომიკური ზარალის გათვლები გაკეთდა ქვეყანაში არსებულ და საერთაშორისო კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით. როგორც პირდაპირი ჯანდაცვის დანახარჯებმა, ასევე არაპირდაპირმა დანახარჯმა (ნაადრევი სიკვდილი და სამუშაოზე მოწევასთან დაკავშირებული ხარჯები) შეადგინა 824.9 მილიონი ლარი, რაც ქვეყნის წლიური მშპ-ს 2.43%-ს შეადგენს. კვლევის თანახმად თამბაქოს კონტროლის 4 პრიორიტეტული მუხლის აღსრულებით (1. თამბაქოს ნაწარმის დაბეგვრა; 2. საჯარო სივრცეში მოწევის სრულად აკრძალვა; 3. თამბაქოს ნაწარმის რეკლამირების, პოპულარიზაციისა და სპონსორობის სრული აკრძალვა; 4. თამბაქოს პროდუქტის შეფუთვა და მარკირება) 15 წლის განმავლობაში:

• ქვეყანა თავიდან აიცილებს 53,100 საქართველოს მოქალაქის გარდაცვალებას. ასევე, თამბაქოსთან ასოცირებულ მთლიან ეკონომიკურ ხარჯებს 3.6 მილიარდი ლარით შეამცირებს.

ამავე მუხლების არ აღსრულების შემთხვევაში, 15 წლის განმავლობაში: ***• 171,300 საქართველოს მოქალაქე დაიღუპება ნაადრევად (70 წლამდე) • თამბაქოსთან ასოცირებული ჯანდაცვის სისტემის კუმულაციური ხარჯი (პირდაპირი) 4.9 მილიარდ ლარს მიაღწევს. • თამბაქოსთან ასოცირებული ეკონომიკური ტვირთი კი (პირდაპირ და არაპირდაპირი ხარჯები) 12.4 მილიარდ ლარს მიუახლოვდება.***

მიუხედავად ამ რიცხვებისა, ხშირად ისმის კითხვა, ხომ არ აზარალებს მოწევის აკრძალვა შენობებში სამასპინძლო ბიზნესს? ადგილობრივი საპასპინძლო ბიზნესის მდგომარეობამ შემდეგი სურათი აჩვენა: ზოგიერთ დაწესებულებაში (კაფეში) არსებულ კანონს ცვლილებები არ გამოუწვევია. მომხმარებლები ისევ აქტიურად დადიან და პრობლემებიც არ შექმნილა მოწევასთან დაკავშირებით. მომხმარებელი კანონს ემორჩილება და სწორად უდგება რეგულაციებს. როგორც მფლობელი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას აღნიშნავს, ამას ბიზნესისთვის ზარალი არ მოუტანია და ისევ ძველებურად აგრძელებენ მუშაობას შეფერხების გარეშე. განსხვავებული მდგომარეობაა სხვა დაწესებულებაში. მეორე სამასპინძლო დაწესებულების მფლობელის თქმით, კანონის ამოქმედების შემდეგ რადიკალურად შემცირდა მომხმარებლის რაოდენობა და, შესაბამისად, მათი შემოსავალიც. უმეტესად, მომხმარებლის უკმაყოფილებას შენობის შიგნით მოწევის აკრძალვა იწვევს და მეპატრონეებს შიგნით მოწევას სთხოვენ. ეს ყველაფერი კი იმის ფონზე, რომ არსებობს შესაბამისი ადგილი, სადაც ისინი თავისუფლად შეძლებენ მოწევას. როგორც დაწესებულების მფლობელი აღნიშნავს, ბიზნესისთვის მსგავი კანონი არასახარბიელო გამოდგა. გაზაფხულის სეზონზე თუკი მათი შემოსავალი ვალების დასაფარად ეხმარებოდათ, ზამთრის სეზონზე მომხმარებლის შემცირების გამო ვალების გადახდას ველარ ახერხებენ. მსგავსი მდგომარობაა მარკეტებსა თუ მცირე მაღაზიებშიც. როგორც გამყიდველები საუბარში აღნიშნავენ, ფასების მომატებას თან მომხმარებლის შემცირება მოჰყვა. გასულ ორ წელთან შედარებით, დღეს სიგარეტის მყიდველი უფრო ნაკლებია. მცირე ბიზნესის წარმომადგენლები ამას ბიზნესის საერთო შემოსავლის კლებასაც უმატებენ და ამბობენ, რომ ფასების მატება მათ გარკვეულწილად აზარალებს. გარდა ამისა, ისინი აღნიშნავენ, რომ, რეალურად, მუდმივი მომხმარებელი სიგარეტს მაინც ჰყავს და ისინი, მიუხედავად ფასის მატებისა, მაინც იხდიან.

კითხვაზე, ხომ არ ირღვევა ახალი რეგულაციებით მწეველის უფლებები, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი პასუხობს, რომ მწეველის უფლება - ასეთი ტერმინი არ არსებობს. თამბაქოს მოწევის აკრძალვა დახურულ სივრცეებში არავის, არც ერთი მოქალაქის უფლებას არ ზღუდავს. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილი არამწეველია, ხოლო ისინი ვინც მწეველები არიან, ცდილობენ მოწევისთვის თავის დანებებას. მწეველთა უმეტესი ნაწილს თამბაქოს მოწევა საკუთარი ნებით არ გადაუწყვეტია, არამედ ნიკოტინზე დამოკიდებულების გამო არიან მწეველები, ხოლო ნიკოტინი და სხვა ჯანმრთელობისთვის საზიანო ნივთიერებები თამბაქოს ყველა ნაწარმშია.

რესპოდენტებთან საუბარმა, კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ საზოგადოება კვლავაც ორადაა გაყოფილი: ერთი ნაწილი უფრო მიმღები აღმოჩნდა ახალი რეგულაციების მიმართ, მეორე ნაწილი კი კვლავაც შეგუების პროცესშია. ერთი რამ, რაც არ იცვლება, ესაა ადამიანის უფლება ისუნთქოს სუფთა, მომწამვლელი კვამლისგან დაცლილი ჰაერი. ეს უფრო მაღლა დგას, ვიდრე მწეველი ადამიანის უფლება, მოწიოს საზოგადოებრივ ადგილებში და საფრთხე შეუქმნას სხვათა ჯანმრთელობას. **უნდა გვახსოვდეს, რომ საკუთარ ხელებს ამოფარებული, ანთებული სიგარეტით იმ ადამიანის უფლებებს ვლახავთ, ვინც ჩვენს გარშემოა და ის, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ არ რეკავს პატრულში, რომ მორალური ღირებულებები არ აძლევს ამის ნებას. ამიტომ, უნდა შევეცადოთ, რომ სხვების მორალური ღირებულებები და კანონით მინიჭებული უფლებები ფეხქვეშ არ გავთელოთ!**

**მოამზადა**
ქუქუნა ყანჩაშვილმა

# 29 მარტს ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა „საქართველო თამბაქოს კვამლის გარეშე“ დაფუძნდა

საქართველოში, ყოველწლიურად, 29 მარტს აღინიშნება დღე „საქართველო თამბაქოს გარეშე“, რომლის მიზანს თამბაქოსაგან თავისუფალი გარემოს მნიშვნელობასა და თამბაქოს მოხმარების რეალური საფრთხის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა და ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს.

თამბაქოს მომხარება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და ამავდროულად პრევენცირებადი პრობლემაა. თამბაქოს გლობალური ეპიდემია ყოველწლიურად დაახლოებით 7 მილიონ ადამიანს კლავს, მათ შორის 890,000 არამწეველია და იღუპება მეორადი კვამლის (პასიური მოწევის) გავლენის გამო. თამბაქოს ეკონომიკური ზარალის გათვლები აჩვენებს, რომ საქართველოში პირდაპირი ჯანდაცვის დანახარჯები და არაპირდაპირი დანახარჯები (ნაადრევი სიკვდილი და სამუშაოზე მოწევასთან დაკავშირებული ხარჯები) 824.9 მილიონი ლარია, რაც ქვეყნის წლიური მშპ-ს 2.43%-ს შეადგენს. თამბაქოს კონტროლის ოთხი (თამბაქოს ნაწარმის დაბეგვრა, საჯარო სივრცეში მოწევის სრულად აკრძალვა, თამბაქოს ნაწარმის რეკლამირება, პოპულარიზაცია და სპონსორობა, თამბაქოს პროდუქტის შეფუთვა და მარკირება) პრიორიტეტული მუხლის აღსრულების შემთხვევაში 15 წლის განმავლობაში ქვეყანა თავიდან აიცილებს 53 100 საქართველოს მოქალაქის გარდაცვალებას, რაც თამბაქოსთან ასოცირებულ მთლიან ეკონომიკურ ხარჯებს 3.6 მილიარდი ლარით შეამცირებს; თამბაქოს კონტროლში ჩადებული ყოველი 1 ლარით უკუ-ინვესტიციის სახით ქვეყანა მიიღებს 161 ლარს 5 წლის და 357 ლარს 15 წლის განმავლობაში.

2017 წელს პარლამენტმა მიიღო ახალი თაობის თამბაქოს კონტროლის საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი (კანონები თამბაქოს კონტროლის შესახებ, რეკლამის შესახებ, მაუწყებლობის შესახებ, ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ; ადმინისტრაცულ სამართალდარღვევათა კოდექსი), რითიც საქართველო ხდება რეგიონში მოწინავე ქვეყანა თამბაქოს ეპიდემიასთან და მისი მოხმარებით გამოწვეულ ავადობასა და სიკვდილიანობასთან ბრძოლის კუთხით. მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ 2018 წლის 1 მაისიდან დღემდე კანონის აღსრულება საკმაოდ ეფექტურად მიმდინარეობს. აღსრულების დონე სამასპინძლო ბიზნესში 96%-ია.

ცნობისათვის, კანონდარღვევის ფაქტის დასაფიქსირებლად პირს შეუძლია მარტივად, მობილური აპლიკაციის გამოყენებით მიმართოს 112-ს, რომელსაც აქვს როგორც ზარის განხორციელების, ასევე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის ფუნქცია. ტექსტური შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში, ის უკავშირდება ოპერატორს ცოცხალი მიმოწერის რეჟიმში (live chat). თუ მოქალაქეს სურს დარჩეს ანონიმური, ამის შესახებ უნდა აცნობოს ოპერატორს.

დედოფლისწყაროს
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

# სოფელ ოზაანში სატაცურის წარმოება დაიწყეს

***დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანში შექმნილი კოოპერატივი „რკ ოზაანი“ მწვანე სატაცურს აწარმოებს. კოოპერატივის წევრები აცხადებენ, რომ სატაცურის წარმოება საქართველოსთვის ახალია, თუმცა პროდუქციაზე მოთხოვნა ყოველდღიურად იზრდება.***

კოოპერატივი 2015 წელს შეიქმნა, რომელშიც 5 მეპაიეა გაერთიანებული. კოოპერატივის თავმჯდომარე, ჯაბა გიგოლაშვილი ამბობს, რომ 4 წლის წინ დარგეს მრავალწლიანი სატაცურის ნერგები და პირველი მოსავალი გასულ წელს მიიღეს.

„მცენარის მოვლისას ტექნიკას არ მოვიხმართ, ძირითადად ხელით ვამუშავებთ. როცა კოოპერატივი შევქმენით, იმ წელს დავრგეთ მრავალწლიანი ნერგები. მწვანე სატაცური ისეთი მცენარეა, რომ პირველივე წელს ვერ მივიღებდით მოსავალს. ოთხი წელი ველოდებოდით და შარშან მივიღეთ პირველი მოსავალი. სატაცურის წარმოება იმიტომ დავიწყეთ, რომ მასზე მოთხვნა იზრდება და ბევრი მცირე მეწარმე იწყებს მის წარმოებას. ამ ეტაპზე გვაქვს დაახლოებით 2 ჰექტრამდე ტერიტორიაზე გაშენებული სატაცური და გასულ წელს ნახევარ ჰექტარზე მივიღეთ მოსავალი. წელსაც ამ ფართობზე ველოდებით მოსავალს, მომავალ წელს კი სრულად მთლიან ტერიტორიაზე ავიღებთ სატაცურის მოსავალს“,– განაცხადა ჯაბა გიგოლაშვილმა.




კოოპერატივის თავმჯდომარე განმარტავს, რომ ამ ეტაპზე ადგილობრივ ბაზარს ვერ აკმაყოფილებენ. ჯაბა გიგოლაშვილი აცხადებს, რომ სამომავლოდ ადგილობრივი ბაზრის სრულად ათვისებას და პროდუქციის ექსპორტზე გატანას გეგმავენ.

„იმ რაოდენობის მოსავალი არ გვაქვს, რომ ადგილობრივი ვაზარი დავაკმაყოფილოთ. პირველი მოსავალი ადგილზე გავყიდეთ, ძირითადად დისუტრიბუტორებს მიჰქონდათ, ამ შემთხვევაში კი მარკირებას და ბრენდირებას არ ითხოვდნენ. მიუხედავად ამისა, ჩვენ მოვინდომეთ და შევქმენით ბრენდი ,,ჯანდო“, დავამუშავეთ ეტიკეტი და ამის შემდეგ ასე გავყიდით პროდუქტს. ბრენდის სახელი უცნაურია და განსვხავებული, თუმცა ჩვენთვის ძვირფასია, რადგან პაპას ერქვა. რაც მთავარია, პროდუქციაზე მოსახლეობაში ნელ-ნელა იზრდება ცნობადობა და მოთხოვნა. ევროპაშიც დიდია მოთხოვნა და დელიკატურ საკვებად ითვლება. სამომავლოდ ვგეგმავთ წარმოების გაზრდას“,– აცხადებს ჯაბა გიგოლაშვილი.

მეწარმე სატაცურის სასარგებლო თვისებებზეც ამახვილებს ყურადღებას და ამბობს, რომ მისი მიღება როგორც ბავშვებისთვის, ასევე ზრდასრულებისა და მოხუცებისთვის აუცილებელია.

„სატაცური ბევრ ვიტამინს შეიცავს, უქოლესტერინო პროდუქტია და დიეტური, არეგულირებს სისხლის მიმოქცევას და კარგია ყველა ასაკის ადამიანის ორგანიზმისთვის. მის შემადგენლობაში შედის ისეთი ვიტამინები, რომლებსაც სხვა მცენარე არ შეიცავს. სატაცურით ბევრი გემრიელი კერძი მზადდება’’.

ჯაბა გიგოლაშვილი მიუთითებს, რომ ამ ეტაპზე მათ აქტიური კომუნიკაცია აქვთ ევროპაში მდებარე მარკეტების დიდ ქსელთან, რომლებიც პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გატანის სურვილს გამოთქვავენ. მისივე განმარტებით, შესაბამისი შეფუთვის და სერტიფიკატების არარსებობის გამო ამ ეტაპზე სატაცურის ექსპორტზე გატანა ფერხდება. კოოპერატივი სამომავლოდ სასათბურე მეურნეობის და წარმოების უწყვეტი ხაზის შექმნას გეგმავს.

მაკა ხაზიური



# მოზარდებს მეწარმეობის თემაზე ტრენინგი ჩაუტარდათ

***არხილოსკალოს საზოგადოებრივი ცენტრის საკონფერენციო დარბაზში დედოფლისწყაროს სოფლების: ზემო ქედის, არხილოსკალოს, ქვემო ქედის, სამთაწყაროს, ფიროსმანისა და საბათლოში მცხოვრები მოზარდებისთვის მეწარმეობის თემაზე სამი კვირის განმავლობაში ტრენინგები ჩაუტარდათ. პროექტის ფარგლებში, დედოფლისწყაროელმა ახალგაზრდებმა*** პრეზენტაციული უნარები, პრობლემის გადაჭრა, გუნდური მუშაობა და მეწარმეობა ისწავლეს. ერთერთი პირველი ახალგაზრდებს დედოფლისწყაროს მკვიდრი, წარმატებული მეწარმე ბექა გონაშვილი შეხვდა. მრავალი წელია, ბექა გონაშვილი საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარეა და წამატებულ სამეწარმეო მუშაობას ეწევა მშობლიურ რაიონში. ახლახან ის „საქართველოს ბანკის“ აგრომიმართულების კოორდინატორად დაინიშნა.

ევროკავშირი უკეთესი ახალგაზრდებისთვის პროექტის ფარგლებში სხვადასხვა სახის აქტივობებს საქართველოში, სომხეთსა და უკრაინაში ახორციელებს. პროექტი მიზნად ისახავს დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარებას ახალგაზრდებში. ტრენინგის ორგანიზატორების განმარტებით, დედოფლისწყაროს სოფლები პროექტით გათვალისწინებული არ იყო, თუმცა, იმის გამო, რომ ეკომიგრანტებითა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ საზვრისპირა სოფლებში ყოველგვარი აქტივობების დეფიციტია, საბოლოო ჯამში გადაწყვიტეს ეს ზონაც ჩაერთოთ.

„ეს პროექტი ეკუთვნის **Save The Children**-ს. საქართველოში, უკრაინასა და სომხეთში ხორციელდება ერთდროულად, უშუალო განმახორციელებლები ვართ რეგიონალური ორგანიზაციები, კახეთში „სამოქალაქო ინიციატივა” და „თუშეთის განვითარების ფონდი. პროექტის სახელწოდებაა “ევროკავშირი ახალგაზრდებისთვის: უკეთესი უნარები უკეთესი მომავლისთვის”. დასკვნითი შეხვედრა შედგა ახალგაზრდებთან ტრენინგების სახით. რაც შეეხება შემდეგ პროცესს, იგეგმება პლატფორმის შექმნა ბიზნეს სექტორის, თვითმმართველობისა და ახალგაზრდების ურთიერდაკავშირების მიზნით, თუმცა დეტალების შესახებ ადგილობრივი ორგანიზაციები ჯერ-ჯერობით არ ვფლობთ ინფორმაციას, ჩვენ ამ პროექტის ფარგლებში გადავმზადდით ტრენერებად, სამუშაო შეხვედრების შემდეგ გაირკვევა, რა იქნება უფრო კონკრეტულად ჩვენი და ამ ახალგაზრდების მომავალი ნაბიჯები. დედოფლისწყარო შევარჩიეთ აბსოლუტურად თანაგანცდის გამო, აქ მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების მიმართ, გეგმაში კი იყო მხოლოდ სიღნაღისა და ახმეტის მუნიციპალიტეტი, მაგრამ საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი (საბათლო) და აჭარელი ეკო-მიგრანტებით დასახლებული სოფლების (სამთაწყარო, ფიროსმანი) ახალგაზრდები განსაკუთრებულად მოკლებულები არიან არაფორმალური განათლების მიღების პროცესებს, ახალგაზრდულ პროექტებს და სწორედ ამიტომ ზემო/ქვემო ქედისა და არხილოსკალოსთან ერთად შევარჩიეთ აღნიშნულ სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდები. „სამოქალაქო ინიციატივა“ და წნორის „ცოდნის კაფეს“ გუნდი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სამომავლოდაც გეგმავს ახალგაზრდების გააქტიურების ხელშეწყობას, “ – აცხადებს ცოდნის კაფეს გუნდისა და სამოქალაქო ინიციატივის წევრი ტასო მოდებაძე.



საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე ბექა გონაშვილი ახლახან „საქართველოს ბანკის“ აგრო მიმართულების კოორდინატორად დაინიშნა. მისი თქმით, ამ პერიოდში მთავარი პრიორიტეტი ფერმერებისთვის მეტი განათლებისა და გამოცდილების მიწოდება იქნება.

„საქართველოს ბანკში **SME** აგრო მიმართულების კოორდინატორი ვიქნები. ძირითადი მიზნები ბანკისთვის აგრო მიმართულებით ახალი პროდუქტების და პროგრამების შექმნაა. ასევე ფერმერებისთვის კონსულტაცია და ექსპერტების დახმარება აგრო მიმართულებაში მეტი ცოდნისა და გამოცდილების მისაღებად. ხშირ შემთხვევაში ბანკი ცდილობს თავიდან აირიდოს რისკები და ძალიან დაბლა წევს მოსალოდნელ შემოსავალს, ამ დროს ფერმერს შესაძლოა ისე ჰქონდეს წარმოება მოწყობილი, რომ რისკები დაზღვეული იყოს. აგრო სექტორი ძალიან რთული და ინდივიდუალურია, რის შეფასებასაც ხშირად, პრაქტიკული გამოცდილება სჭირდება“ – განაცხადა ბექა გონაშვილმა.

სალომე ბექაურსა და ანანო სუხაშვილს გაყიდვების ოფისის შექმნა უნდათ არხილოსკალოში.

„რატომ გაჩნდა ეს იდეა? ამ სოფლებში მესერზე ხშირად გვხვდება წარწერა, „იყიდება ღორი, იყიდება ძროხა, ხორბალი, ქერი, მზესუმზირა, ნიორი“ და სხვა. ამიტომ ვეცდებით გავაკეთოთ გაყიდვების ოფისი, სადაც სოფლის მოსახლეს შეეძლება დაგვიკავშირდეს, ან წარადგინოს წერილობითი განცხადება გასაყიდი საქონლის შესახებ, ამის შემდეგ, ჩვენ გავუწევთ დახმარებას როგორც გამყიდველს, ასევე მყიდველს. გვექნება ბევრი კონტაქტები, ზუსტად გვეცოდინება გასაღების ბაზრები. ჩვენს მოსახლეობას აღარ შეეშინდება, რომ პროდუქტს ვერ გაყიდის და ვინც რას მოიყვანს, ყველაფრის რეალიზებაზე ვიქნებით პასუხისმგებლები, წინასწარ გვეცოდინება სად რამდენის რეალიზებას შევძლებთ. გუნდში ასევე მუშაობდნენ თამარ ბალიაური და კახა მამულაშვილი,“– ამბობენ მომავალი მეწარმეები.



ქედების ზონიდან ნიკა პატაშურისა და მირიან ნარიმანიძის ბიზნეს იდეაა: „ეკო-ალკო“

„ჩვენ, არხილოსკალოელები, ქედელები, ვაჟა ფშაველამ ჩამოგვასახლა. ამ ადგილებში ფშაველები, ხევსურები, მთიულები ვართ და ლუდის ხარშვის ტრადიცია უძველესია ჩვენში. გვინდა უძველესი ტრადიცია კვლავ აღვადგინოთ, მამა-პაპებს მხარში დავუდგეთ და ჩამოვასხათ ტრადიციული ლუდი, ტრადიციული გემოთი. გარდა იმისა, რომ ჩვენში, ადგილობრივებში ისარგებლებს პოპულარობით და კარგად გაიყიდება, ნელ-ნელა ტურისტები იწყებენ ჩვენ სოფლებში მიმოსვლას, ვაშლოვანის ნაკრძალს სულ უფრო მეტი და მეტი ტურისტი სტუმრობს. ტურისტებს ადგილზე ვაჩვენებთ ლუდის ხარშვის ტრადიციას და დაგემოვნების შესაძლებლობასაც მივცემთ. ვფიქრობთ, ეს ჩვენს სოფლებს ბევრად გამოაცოცხლებს და კიდევ უფრო საინტერესოს გახდის. გუნდში ასევე მუშაობდნენ ნოდარ დუმბაძე, ანა ცენტერაძე და ილია ხარაზიშვილი“.



თამარ ბაგიაური ქვემო ქედში ცხოვრობს, სოფელში, სადაც გადმოცემით იცის, რომ უამრავი ხალხი ცხოვრობდა. როგორც ჰყვება, გარშემო მარტო ის და თავისი დაა. უამრავი სახლია გამოკეტილი, აქა-იქ თუ შერჩენილა მოსახლეობა. რამდენიმეათასკაციან სოფელს, უბანში მშობლებისა და პაპა-ბებიის თაობაღა დარჩა. ახალგაზრდები მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდიანო, ამბობს დანანებით. „კვირის დღეებში სკოლა და სახლი, შაბათ-კვირას კი სახლი და სახლი, ვერსად გავდივარ. უბანში არავინ მყავს ჩემი ასაკის. მარტოდ ყოფნამ წიგნის კითხვა შემაყვარა, ბოლოს



შაფაქის „სიყვარულის 40 წესი” წავიკითხე და დიდხანს გამყვა ეს ამბავი. ტრენინგებში პირველად მივიღე მონაწილეობა და მომიხაროდა შეხვედრებზე, არც ვიცოდი ამდენი რამის სწავლა თუ შეიძლებოდა ასე, თან ამდენი ჩემი მხრის ახალგაზრდა გავიცანი“.

ახალგაზრდებს შეხვდა 2018 წლის ბიოფერმერი წნორიდან ნიკა ბაგალიშვილი, რომელმაც სტუდენტობის შემდეგ სოფელში დაბრუნება და აგრო მიმართულებით მუშაობა გადაწყვიტა. ნიკამ დედოფლისწყაროელებს გაუზიარა საკუთარი გამოცდილება, წინააღმდეგობები, რომელიც როგორც თავად ამბობს, საკმაოდ ბევრი ჰქონდა. ისაუბრა იმ პერიოდზე, როცა არავის სჯეროდა მისი საქმიანობის და ახლობლები სოფელში მუშაობას დროის ფუჭად ხარჯვად უთვლიდნენ, მშობლებს კი აჯერებდნენ, რომ უნივერსიტეტდამთავრებულ ბიჭს, მიწაზე არ უნდა ემუშავა. ნიკამ ახალგაზრდებს ისიც მოუყვა, რა გეგმები აქვს ამჟამად, რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც წლის ბიო ფერმერი გახდა.

# „იყო სათნო და კეთილი,თურმე არც ისე ძნელია“

მშვიდი მელოდიის ფონზე ისმის ჩიტების ჭიკჭიკი. ლამაზი ეზო-გარემოს ფონზე სიღრმეში თეთრი სამეფო სასახლე მოჩანს. ეზოში მშვენიერი გოგონა სეირნობს. ეს მეფის ასულია. არენაზე ორი მთხრობელი – ბექა აკობიძე და ნიკოლოზ ბერიძე გამოდიან. ისინი მეფის ასულის ისტორიას გვიყვებიან: ერთ ლა-



მაზ ქალაქში მეფის ასული ცხოვრობდა. ის ამაყი და უკარება იყო, არავისთან თამაშობდა, არც სათამაშოებს უფრთხილდებოდა და არც დიდი სიკეთით გამოირჩეოდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მოსწყინდა სიმარტოვე, სევდამ შეიპყრო და მიხვდა, რომ სიახლე სჭირდებოდა. სწორედ ამ შინაარსის არია შემოგვთავაზა მეფის მშვენიერმა ასულმა ანამარია ნერსესოვამა: „აღარ მინდა მარტო, სურვილი ამიხდება, ცაზე ღამით რომ ანათებს, ჩემი ვარსკვლავი ინთება“. ეს სურვილი ამ ქალაქში მცხოვრებმა ფერიებმა – მარიამ აჩელაშვილმა, ნანა ბოსტოღანაშვილმა და ლიკა შიუკაშვილმა შეიტყეს, დასახმარებლად მეფის ასულს მიაკითხეს და ზღაპრულ ქალაქში სიკეთეების დასანახად წაიყვანეს, სადაც ყველა ერთმანეთს ეფერებოდა და უმღეროდა. პირველი შეხვედრა მთვარესთან – ნიკოლოზ ქადაგიძესთან შედგა, რომელმაც მშვენივრად შეასრულა თავისი არია და ვარსკვლავებს უხმო თავისთან. ვარსკვლავები კი უხვად გამოიშალნენ: პავლე პოჟიდაევი, თორნიკე ყოჩიაშვილი, ნიკოლოზ ნამგალაური, ანდრია ტალაბაძე, გიორგი მატიაშვილი, დავით მარტყოფლიშვილი, გიორგი სესიტაშვილი, ანდრია გოგილაშვილი „ვარსკვლავურად“ შემოსილები არემარეს მოეფინნენ და მთვარის შვილებმა მზეს მოუხმეს: „მზეო, ამოანათე, ლურჯთვალა ყვავილებს შემოანათე“. არენაზე მზე, მერაბ გიგოლაშვილი შემობრწყინდა და ფერიების თხოვნით ყველას მოაფინა თავისი სინათლე და სითბო და ბნელეთი გაანათა. სითბო ეამათ და სინათლეზე პირველმა ყაყაჩოებმა გაახილეს თავისი გრძელწამწამა, ლამაზი თვალები და ტყუპმა დებმა ბარბარე და თიკო ბეგიაშვილებმა ხალისიანად შემოსძახეს: „დილის მზე გვეალერსება, გულზე გვიბრწყინავს ხალია“. ამ დროს ჩუხჩუხი გაისმა და ნაკადულმაც ნიკოლოზ ახალაურმა, თავისი საქმე შეასრულა და თავმომწონედ ჩაიმღერა– „ვრწყავ ყვავილებს, ბუჩქებს, მუხებს, წყურვილს ვუკლავ მერცხლებს, შურთხებს“. ამ ჰარმონიას მშიერი მგლის – დათუნა ქადაგიძის გამოჩენა არღვევს, რომელიც გაქცეულ კურდღელს დაეძებს, მაგრამ ნაკადული არწმუნებს, რომ კურდღელთან დამეგობრება სჯობს და მგელიც ემორჩილება. სცენას საყვარელი ზღაპრის გმირები – კარლსონი –ერეკლე მეხრიშვილი და ბურატინო – ერეკლე ჯიბლაშვილი აცოცხლებენ. მათ ოვაციით ხვდებიან და ისინიც ხალისიანად ასრულებენ არიებს, რომელშიც თავისი „საქმიანობის“ შესახებ მოუთხრობენ მსმენელს. ჩვეული მხიარული ცეკვითა და სიმღერით შემოდიან ქოსები: ნოდარ გურაშვილი, ლუკა მაჭარაშვილი და ნიკოლოზ თარაშვილი – „თავდაყირა გადავდივართ, ტყუილების ყანაშიო, ეს დრო გვინდა გავატაროთ ცეკვაში და თამაშშიო“. მეფის ასულს გამორჩეულად გაუხარდა მათთან თვალხატულა თოჯინების გამოჩენა. ვიქტორია იურისონოვი და ანა სამუკაშვილი თოჯინებისთვის დამახასიათებელი ტეხილი მოძრაობებით და სიმღერით მეფის ასულის გულს საბოლოოდ იპყრობენ, რომელიც ნატრობს: „ეხ, ამ ლამაზ თოჯინებს ჩემს სახლში რომ ეცხოვრათ, ისე გავუფრთხილდებოდი, ცივ ნიავს არ მივაკარებდი“. მეფის ასულის სურვილების ასრულებისთვის საჭირო იყო მზისთვის ნატვრის თვალის ჩუქება ეთხოვნათ. მზე, რომელიც ამ ყველაფერს თვალყურს ადევნებდა, დარწმუნდა, რომ გოგონას გულში სიკეთემ, მეგობრობამ და სიყვარულმა დაისადგურა და ნატვრის თვალი აჩუქა. ბედნიერმა ზღაპრის გმირებმა ერთხმად დაიგუგუნეს: „ასე დასრულდა ამბავი, ზღაპარი ამბის მთქმელია, ბოროტსა სძლია კეთილმა, არსება მისი გრძელია, იყო სათნო და კეთილი, თურმე არს ისე ძნელია“.



ეს მშვენიერი ზღაპარი–მიუზიკლი, ქალაქ დედოფლისწყაროს №3 საბავშვო ბაღში (დირექტორი მაია ფოცხვერაშვილი-გონაშვილი) 5-6 წლიანთა ჯგუფში გაიმართა. მიუზიკლი სრულად შეადგინა და მუსიკალურად დაამუშავა ბაგა–ბაღის მუსიკის პედაგოგმა ხათუნა ჯანაშვილმა. ხათუნა უკვე რვა წელია, ამ პოზიციაზე მუშაობს. მისი პროფესიონალიზმი მუსიკალურ განათლებაში აქ გამართულ ყველა ღონისძიებაზე იგრძნობა. საახალწლო თუ სხვა სადღესასწაულო ზეიმები, წლის ანგარიშები და გამოსაშვები საღამოები მუდამ მაღალ დონეზეა მომზადებული. დიდი შრომა ჩადო ამ ღონისძიების მომზადებაშიც ქალბატონმა ხათუნამ. მას მხარში ედგა ჯგუფის აღმზრდელი პედაგოგი ხათუნა ალულიშვილი, თანაშემწე მარინა ნატროშვილი და ძიძა ესმა ქადაგიძე. დარბაზის გაფორმებისა და ბავშვების თემატურად გამართულ ლამაზ ჩაცმულობაზე, როგორც ყოველთვის, მაღალპროფესიულად იზრუნა მარიტა ბექიშვილმა. სწორედ შეთანხმებული და თავდაუზოგავი შრომით, მშობელთა ხელშეწყობით გამოვიდა ეს სპექტაკლი-მიუზიკლი ასეთი შთამბეჭდავი. ღონისძიებაზე მოსულმა სტუმრებმა – სკოლამდელი და სკოლისგარეშე სწავლების ცენტრის დირექტორმა მაია ყოჩიაშვილმა, მოადგილე თათია ბენაშვილმა, სპეციალისტმა ნინო კვიწინაშვილმა, მერიის განათლების, კულტურის და ძეგლთა დაცვის სამსახურის სპეციალისტებმა ია ბუნტურმა და №1 ბაგა-ბაღის დირექტორმა ქეთინო ყოჩიაშილმა ბავშვები შეაქეს და მადლობა უთხრეს მიუზიკლის ავტორსა და სცენარისტს ხათუნა ჯანაშვილსა და მთელს კოლექტივს მშვენიერი წარმოდგენისთვის.

ნაირა გორაშვილი

# ქართველების კიდევ ერთი მასშტაბური დაკავება ბარსელონაში

ესპანეთში სპეცოპერაციის შედეგად საქართველოს 25 მოქალაქე დააკავეს. მასშტაბური სპეცოპერაცია სახელწოდებით “მერლი-ტაკა” ბარსელონაში, საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის შედეგად, ქართველი სამართალდამცველების მონაწილეობით ჩატარდა. როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ვლადიმერ ბორცვაძემ ბრიფინგზე განაცხადა, სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულია სხვადასხვა ქვეყნის 100-ზე მეტი მოქალაქე, მათ შორის საქართველოს 25 მოქალაქე, რომლებსაც საცხოვრებელი ბინების გაქურდვა და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრობა ედებათ ბრალად”.

გარდა ამისა, ადმინისტრაციული წესით, საიმიგრაციო წესების დარღვევისთვის დაკავებულია საქართველოს 41 მოქალაქე. სპეცოპერაცია ჩატარდა ბარსელონაში მდებარე ერთ-ერთი ყოფილი სკოლის შენობაში, რომლის ნაწილიც კრიმინალური დაჯგუფებების წევრებს უკანონოდ ჰქონდათ დაკავებული. აღნიშნული ღონისძიების პარალელურად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ამავე შენობაში უკანონოდ შესახლებული ყველა სხვა პირი გამოასახლეს. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, სამართალდამცველებმა დაკავებულების საცხოვრებელ ბინებში ჩაატარეს ჩხრეკა, რომლის შედეგადაც ნივთმტკიცებად ამოიღეს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნაქურდალი ნივთები და დიდი ოდენობით ფული,” - განაცხადა ბორცვაძემ.

მისივე ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ კრიმინალური დაჯგუფების წევრები ბინებს წინასწარ არჩევდნენ, მოიპოვებდნენ და ამუშავებდნენ მონაცემებს შერჩეული ობიექტების შესახებ, რის შემდგომაც ორგანიზებულად ქურდავდნენ. “დაკავებულ საქართველოს 25 მოქალაქეს ბრალად ედება ესპანეთის სსკ-ის 237-ე, 570-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული, რაც გულისხმობს ესპანეთის სამეფოს ტერიტორიაზე ჩადენილ ბინების გაქურდვასა და კრიმინალურ-დანაშაულებრივი ჯგუფის წევრობას. აღსანიშნავია, რომ დანაშაულის გამოვლენის, ზემოაღნიშნული ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების, ასევე, მათი კავშირების დადგენისა და ოპერაციის დაგეგმვის მიზნით, ბარსელონაში ჩატარებულ მასშტაბურ სპეცოპერაციას წინ უძღოდა ესპანეთის სამეფოს ეროვნული პოლიციისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ერთწლიანი ოპერატიულ-საგამოძიებო სამუშაოები ესპანეთსა და საქართველოში.”შეგახსენებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა,” - განაცხადა ვლადიმერ ბორცვაძემ.



ცნობისთვის, ეს ესპანეთისა და საქართველოს პოლიციის თანამშრომლობის პირველი შემთხვევა არ არის. გასული, 2018 წლის ივლისში ესპანეთში სომხურ-ქართული კრიმინალური დაჯგუფების ქართველი წევრები დააკავეს. ესპანეთის სამეფოს ეროვნულმა პოლიციამ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად წარმატებული მასშტაბური სპეცოპერაცია - სახელწოდებით „კუში 2“ ჩაატარა. სპეცოპერაციაში აქტიურად იყვნენ ჩართული ინტერპოლი და ევროპოლი. საქართველოს შსს-ს ინფორმაციით, სპეციალური საპოლიციო ღონისძიება ესპანეთის რამდენიმე ქალაქში ერთდროულად ჩატარდა. მასში 800-ზე მეტი ესპანელი სამართალდამცველი და შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის თანამშრომლები მონაწილეობდნენ. ამ სპეცოპერაციის საშუალებით გამოვლინდა სომხურ-ქართული კრიმინალური დაჯგუფება, რომელსაც, ეროვნებით სომეხ “კანონიერ ქურდთან” ერთად, ძმები შუშანაშვილები ხელმძღვანელობდნენ. სპეცოპერაციის შედეგად მადრიდის, ბარსელონას, ვალენსიას, ალიკანტეს, ალბასეტეს, მურსიას, ჟირონასა და გრანადას პროვინციებში ესპანეთში მოქმედი სომხურ-ქართული კრიმინალური დაჯგუფების 129 წევრი, მათ შორის 7 “კანონიერი ქურდი” დააკავეს, ძირითადად სომხური წარმოშობისა. ამავე სპეცოპერაციის შედეგად მადრიდსა და ვალენსიაში დაკავებულია საქართველოს 2 მოქალაქე, ეროვნებით ქართველი - 1971 წელს დაბადებული პ.ჯ. და 1974 წელს დაბადებული მ.კ.“

გამოძიებამ დაადგინა, რომ პ.ჯ. აქტიურად იყო ჩართული აღნიშნული დაჯგუფების კრიმინალურ საქმიანობაში. მას სახლში ძვირფასი ლითონების გადამამუშავებელი უკანონო საამქრო ჰქონდა მოწყობილი, სადაც დანაშაულის დაფარვის მიზნით ნაქურდალი ძვირფასეულობის გადადნობა, მისგან ოქროს ზოდებისა და ნაკეთობების დამზადება ხდებოდა. მ.კ. კი სომხურ-ქართული კრიმინალური დაჯგუფების მიერ უკანონო გზით მოპოვებულ ფინანსებს განკარგავდა. ორივე დაკავებული საქართველოს მოქალაქე ესპანეთის კანონმდებლობის თანახმად გასამართლდება. მათ გამოძიება ესპანეთის სსკ-ის 515-ე და 301-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავება, რაც კრიმინალური დანაშაულებრივი ჯგუფის წევრობას და ფულის გათეთრებას გულისხმობს. ესპანეთში ჩატარებული სპეცოპერაცია “კუში” ევროპოლმა და ინტერპოლმა შეაფასეს, 2010 წლიდან დღემდე ყოფილი საბჭოთა წარმოშობის საერთაშორისო ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებების წინააღმდეგ ჩატარებულ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებად. საქართველოს შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი, საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიზნით, აგრძელებს ევროპოლთან, ინტერპოლთან და ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამართალდამცავ უწყებებთან აქტიურ თანამშრომლობას.

# „... და მიგვიძღოდეს ეკლიან გზაზე წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი“

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას 80 წლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში.

საიუბილეო საღამოს საინტერესოდ უძღვებოდა ცნობილი ახალგაზრდა პოეტი რატი ამაღლობელი.

საღამო გახსნა ანსამბლმა „რუსთავმა“ ეროვნული სიმღერით „შავლეგო“.

სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობაზე საუბრობდნენ კონსტანტინე გამსახურდია, კახა კუკავა, პოლიტოლოგი ნიკოლოზ ვაშაკიძე, გრიგოლ გეგელია, რუსთველოლოგი ლია წერეთელი. მათ ყურადღება გაამახვილეს იუბილარზე, არა მხოლოდ როგორც პოლიტიკოსზე, არამედ, როგორც დისიდენტზე, პოეტზე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერზე, რუსთველოლოგზე. ზვიად გამსახურდია, ხომ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული პიროვნება იყო, თავის თანამოაზრეებთან ერთად, მისი თაოსნობით, 28 წლის წინ, 31 მარტს, თავისი დაბადების დღეს, გამართა რეფერენდუმი.

გამომსვლელთა სიტყვებს შორის ჩართული იყო მუსიკალური ნომრები. რატი ამაღლობელმა სცენაზე იხმო ნატო მეტონიძე, რომელმაც შეასრულა პოპულარული ქართული სიმღერა „მთაწმინდა ჩაფიქრებულა“.ანსამბლ „რუსთავის“ მიერ შესრულდა ქართული ხალხური სიმღერა „ჩაკრულო“.

რატი ამაღლობელმა აღნიშნა, ჯიხაშკარში ვიყავი, როდესაც დამირეკეს, რომ ზვიად გამსახურდიას საიუბილეო საღამო უნდა წამეყვანა. თვალწინ დამიდგა მთელი მისი ახალგაზრდობა. იგი შესანიშნავად უკრავდა შოპენის „ნოქტურნს“, რომელსაც ახლა შემოგთავაზებთ ცნობილი შემსრულებელი ვალერიან შიუკაშვილი. პიანისტის მიერ დახვეწილი ტექნიკით შესრულებულმა „ნოქტურნმა“ აღაფრთოვანა მსმენელი.ანსამბლ „რუსთავის“ სოლისტმა დავით გველესიანმა თავის შვილთან, ანდრიასთან, ერთად ბრწყინვალედ შეასრულა ყველა თაობის საყვარელი კომპოზიტორის რევაზ ლაღიძის სიმღერა „ყური უგდე საქართველოს“. მსოფლიოს საოპერო სცენებზე მოღვაწე ცნობილმა ტენორმა გია ონიანმა, კონცერტმაისტერ დარეჯან მახაშვილთან ერთად შემოგვთავაზა მინდიას არია ოთარ თაქთაქიშვილის ოპერიდან „მინდია“ და კანიოს არია ლეონკავალის ოპერიდან „ჟამბაზები“. დემეტრე გამსახურდიამ, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა შვეიცარიიდან, პაპის საიუბილეო საღამოზე შეასრულა სკრიაბინის ნაწარმოები და აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში ვფიქრობ, სრული ვერსია შემოგთავაზოთო.

საიუბილეო საღამოს ფონად გასდევდა პირველი პრეზიდენტის ცხოვრების ამსახველი ვიდეო კოლაჟი.

საინტერესო მოსასმენი იყო მუსიკის ფონზე ცნობილი პოეტის და მხატვრის თინათინ მღვდლიაშვილის მიერ ზვიად გამსახურდიასადმი მიძღვნილი ლექსი. ზვიად გამსახურდიას ლექსებს შთამბეჭდავად კითხულობდა თავად საიუბილეო საღამოს წამყვანი რატი ამაღლობელი, მან ბევრი საინტერესო ეპიზოდი გაიხსენა ეროვნული გმირების ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ცხოვრებიდან.

საღამო დასრულდა ბიჭუნათა ანსამბლ „მძლევარის“ მიერ შესრულებული სიმღერებით „ჩემო კარგო ქვეყანავ“ და „მრავალჟამიერი“. მიუხედავად წვიმიანი და ცივი ამინდისა, სახლში წასვლას არავინ ჩქარობდა, სითბოთი და სიყვარულით იხსენებდნენ პირველ პრეზიდენტს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერს ზვიად გამსახურდიას, რომელიც საქართველოს უახლოეს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა.

* * *

3 აპრილს, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის 317-ე აუდიტორიაში, რომელსაც მიენიჭა ზვიად გამსახურდიას სახელი, გაიმართა მისი დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც გახსნა პრეზიდენტის სამსახურის ყოფილმა უფროსმა ვახტანგ ბახტაძემ. ზვიადის მოღვაწეობაზე ისაუბრა ცნობილმა მწერალმა როსტომ ჩხეიძემ, სიტყვით გამოვიდა საქართველოს ი. ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის წევრი, პროფესორი სოსო ჭუმბურიძე.

ნანა ჭიჭინაძე

ხსოვნა

## ნოე და ფაცა გობეჯიშვილები



რამდენი წელია, ჩემთვის აღარ უთქვამს „გენაცვალოს დედა, ხომ არაფერი გიჭირსო“, აღარც მამის ომახიან ხმას გავუმხნევებივარ შეჭირვების დროს, „წინ იარე შენი გზით, ნუ შეჩერდები! ვინც გზას გილობავს, მის ჩამოსაშორებლად, შურის საძიებლად დროს ნუ დაკარგავ, თუ გინდა მიზანს მიაღწიოო“..

მამაჩემი ნოე გობეჯიშვილი (დეტუეთი) დაიბადა მრავალშვილიან ოჯახში, რაჭაში, სოფელ გონაში. ჯარში მოხალისედ წასულს მეორე მსოფლიო ომმა მოუსწრო. შემდეგ სტავროპოლში გადასახლება,ქლუხორში მამა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა: პურსაცხობის დირექტორი, სოფელ მზისის საბჭოს თავმჯდომარე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე... შემდეგ თანამებრძოლისა და უახლოესი მეგობრის ვარლამ წითაძის და გაიცნო და ოჯახიც შექმნა.

ფაცა - შუშანა წითაძე მარტის თვეში დაიბადა, ბაღდადის ულამაზეს სოფელ დიმში. 10 დაძმის ნაბოლარა და იყო. მარტის თვეში გახდა დედა, შეეძინა პირველი ქალიშვილი, მარტის თვეში ოთხი ქალიშვილის შემდეგ შეეძინა ნანატრი ვაჟი. შემდეგ 1957 წლის მარტის თვეში მამაჩემის თაოსნობით საქართველოში, ქიზიყის ულამაზეს სოფელ მირზაანში 60 ოჯახი გადმოსახლდა. ჩემი მშობლები მკაცრი და სამართლიანები იყვნენ. ბევრი რამ მაქვს გასახსენებელი, მაგრამ მე ის ტკბილი საღამოები მინდა გავიხსენო, როცა შრომით დაღლილი მშობლების სიმკაცრე სადღაც ქრებოდა, ჩვენთან ერთად დასხდებოდნენ, დედა გიტარით სასიამოვნო ხმით მღეროდა:

„...„ოქტომბერში თუ ჩვენს მხარეს<br>ჩაგ ივლიათ,<br>შეამჩნევდით, მიმობნეულს<br>მინდორ-ველად,<br>ჭაწაწინა, მარჯნისფერი ყვავილია,<br>იმერეთში ეძახიან საჭოვნელას“...

შემდეგ კი მამის ხელი მთლიანად ფარავდა გიტარის სიმებს და ახლა ის მღეროდა „მოიტაცეს თამარ-ქალი დიელო და...“ ან უფროსი და ხმამაღლა გვიკითხავდა წიგნს.. (ახლა ვხვდები, რამხელა ნოსტალგია ჰქონიათ თავისი მშობლიური კუთხის). თქვენ ამ ქვეყნიდან ვალმოხდილები წახვედით. უდიდესი ბედნიერებაა, რომ თქვენ ჩემი მშობლები იყავით. მსუბუქი იყოს თქვენს მკერდზე დაყრილი მირზაანის ალავერდის წმინდა მიწა. მამამ თავისი ხელით წამოიღო გონის მთავარანგელოზის ეკლესიიდან წმინდა მიწა. დედა, მე კი აუცილებლად ჩამოვიტან დიმის მთავარანგელოზის ეკლესიის წმინდა მიწას, სადაც თქვენ დაიწერეთ ჯვარი და მიმოვფანტავ შენს საფლავზე. ნათელი დაგიმკვიდროთ უფალმა.

ნელი გობეჯიშვილი

## თემურ იაკობიშვილი



ჩემო გაუსაძლისო ტკივილო, ჩემო სიხარულო, 11 აპრილი შენი დაბადების დღეა. მეხუთედ ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს, ჩემო ტკივილიანო მონატრებავ.

ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს ცხოვრებაში, შენი გიო ისე გაიზარდა, ველარ იცნობ, წელს სკოლას ამთავრებს, უშენოდ უნდა დავულოცოთ გზა, რომელსაც შეუყვება მარტო, უშენოდ. ილოცე მისთვის, რომ სტუდენტი გახდეს, ჩვენ კი ყველაფერს ვცდილობთ უშენობა შევუმსუბუქოთ, მაგრამ ჩემთვის ძნელი გასამკლავებელია, ჩემო სიცოცხლევ.

11 აპრილს ჩვენ მოვალთ შენს საფლავზე და წმინდა სანთლებით მოგილოცავთ დაბადების დღეს. ნათელში იყოს შენი სული, ჩემო ვაჟკაცო.

შენი ოჯახი

## თემურ იაკობიშვილი



თემო, ჩვენო ტკბილო, გულიანო, ხალისიანო, ახლობლების მოყვარულო ადამიანო, ძალიან აკლიხარ ჩვენს გულებს, უკვე მეხუთე გაზაფხულს და შენს დაბადების დღეს უშენოდ ვხვდებით. დრომ ვერ გაანელა უშენობით გამოწვეული ტკივილი. გვიყვარხარ და გვახსოვხარ.

**შენი ბიძაშვილები** ჯუნა და ჯონი.

მონატრება

## ნათელა მარტყოფლიშვილი



ჩემო ძვირფასო დაიკო, ჩემო დიდო სიხარულო და დიდო ტკივილო, 10 აპრილს 70 წელი შეგისრულდებოდა. ამ დღეს სიხარულით შევხვდებოდით, მოგილოცავდით და მოგეფერებოდით. ახლა კი უშენოდ და გულისტკივილით უნდა შევხვდეთ ამ დღეს.

შენ უზომოდ კეთილი იყავი ყველასთვის, ყველა გიყვარდა: ნათესავი, მეზობელი, შენი შვილი და შვილიშვილები, ყველას გვერდში ედექი ლხინში თუ ჭირში. როგორ იბრძოდი სიცოცხლისთვის, როგორ გინდოდა სიცოცხლე, მაგრამ ვერ გაუმკლავდი შენს ავადმყოფობას. ჩემო ტკბილო, უსაზღვროდ კეთილო დაიკო, ძალიან მენატრები და მაკლიხარ.

ხუთი თვეა, რაც აქედან წახვედი და დაგვიტოვე გაუსაძლისი ტკივილი. ამბობენ, უფალს თავისთან საუკეთესოები მიჰყავსო, შენც იმ საუკეთესოთა რიცხვს ეკუთვნოდი, რადგან უფალმა აგირჩია და თავისთან გიხმო. უნდა გამოგიტყდე, ჩემო დაიკო, რაც შენ დაგვტოვე და წახვედი, სულ ორჯერ ვარ შენს სახლში მისული. მე ყველა მიყვარს, მაგრამ შენ იქ რომ აღარ სუნთქავ და შენ რომ არ მელოდები, გული აღარ მიმწევს. სულ მე მელოდებოდი, რომ მოვიდოდი, თვალები გაგიბრწყინდებოდა და მეტყოდი, შენ რომ დაგინახე, ჩემო დაიკო, უკვე მეცხრე ცაზე ვარო. ჩვენ ხომ ტკბილი დედმამიშვილობა გვქონდა, ხომ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი.

მოვიდა გაზაფხული, გაიღვიძა ბუნებამ და აყვავდა ყვავილები. შენც და ჩემს დედამკვდარ შვილსაც მანდ გილოცავთ გაზაფხულის მოსვლას.

ჩემს გელას უთხარი, დედას ხომ გულს უკეთებდი, არ იდარდო, დედა, ერთხელაც იქნება, ჩვენს ქუჩაზეც მოვა გაზაფხულიო, მაგრამ ჩემს გელას არ დასცალდა, დაემსხვრა იმედები. მენატრებით უზომოდ, მაკლიხართ, სიზმარში მაინც დამესიზმრეთ. მეუბნებოდი, კარგზე იფიქრეო, როგორ ვიფიქრო კარგზე თქვენმა დამკარგავმა. თავს მხოლოდ იმით ვიმხნევებ, რომ თქვენ გიპატრონოთ და დათოს გვერდში დავუდგე. დათო კი ძალიან ნერვიულობს.

ჩემო ლამაზო დაიკო, მე შენ ახლაც არ გატკენ გულს. მოვალ შენს საფლავზე, დიდი გულისტკივილით და მდუღარე ცრემლებით მოგილოცავ დაბადების 70-ე წლისთავს. აგინთებ სანთელს, მოვეფერები შენს საფლავს და ცრემლით დავასველებ შენს გულზე დაყრილ მიწას. ნათელში იყავით, ჩემო ძვირფასებო, მსუბუქი იყოს თქვენს გულზე დაყრილი მიწა.

**შენი მონატრებული დაიკო**
ციცო მესტიაშვილი.

მონატრება

## გენადი ღორაშვილი

12 აპრილი, დღე, რომელიც უშენოდ უნდა გათენდეს. ამ დღეს ხომ ყველა ისევ ერთად უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ შენმა ბედისწერამ სხვა გზით წაგიყვანა. შავბედითი აღმოჩნდა 2018 წლის 8 აგვისტოს დილა. ცაზე შავი ღრუბლები შეიყარნენ და შენთან შეხვედრას გეგმავდნენ. ოცდღიანი წამების შემდეგ, 28 აგვისტოს, დილის 6 საათზე შეწყვიტა შენმა გულმა ფეთქვა. 7 თვეა,რაც ჩვენთან აღარ ხარ. გული დარდით, თვალები კი ცრემლებით აგვივსე. არაფერი დაგვრჩენია შენზე ტკბილი მოგონებების გარდა. შენი ერთად-ერთი შვილი თვალცრემლიანი შეჰყურებს შენს სურათს , საიდანაც თბილად უღიმი და დიდ ტკივილს უტოვებ გულში. შენი თამთა და ნიკა ყოველდღე შენზე მესაუბრებიან და თვალები ცრემლებით ევსებათ. პატარა ანას კი არ დაამახსოვრდი, რომ გაიზრდება, მე მოვუყვები შენზე ყველაფერს. 15 წელი გავატარე შენს გვერდით და შენგან ერთი სიტყვა არ მწყენია, ჩემო ტკბილო მამამთილო. შენ რომ ჩვენს საცოდაობას ხედავდე, ალბათ, გადმოანგრევდი მაგ დაწყევლილ სამარის კარებს.ვინმე რომ მკითხავს, თუ როგორი იყავი, ვეტყვი: ერთგული მეუღლე, მოსიყვარულე მამა, შვილიშვილებზე უზომოდ შეყვარებული პაპა, საუკეთესო მამამთილი და, რაც ყველაზე მთავარია, ჩემი დიდი მეგობარი. გპირდები, რომ სანამ მე ცოცხალი ვიქნები, არ დამავიწყდება შენი დაბადების დღე. ყოველთვის მოვალ შენს საფლავთან ლამაზი ყვავილებით, აგინთებ სანთელს და თვალცრემლიანი მოგილოცავ ყველა იმ აუხდენელ თარიღს რომელსაც ვერ მოესწარი. ღმერთმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი. ებარებოდეს უფალს შენი უკვდავი სული, გზას გინათებდეს წმინდა სანთელი, ჩვენო დიდო ტკივილო.

**მეუღლე** მაყვალა, **შვილი** ზურაბი, **რძალი** ნათია გოგილაშვილი, **შვილიშვილები** თამთა, ნიკა, ანა.
სოფელი გამარჯვება



შვილი ვაჟა ალადაშვილი; რძალი ნელი ხაჩიაშვილი; შვილიშვილი თამარი; ძმა მიშა, და ნათელა თეთვაძეები. მაზლის ცოლი დონარა. მაზლისშვილები, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები და მათი შვილები იუწყებიან ღვაწლმოსილი პედაგოგის

ზინა თეთვაძე-ალადაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 6 აპრილს, სოფელ სამრეკლოში.

ეგული და დიმიტრი ყოჩიაშვილების ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს ვაჟა და ნელი ალადაშვილებს დედის

ზინა თეთვაძის

გარდაცვალების გამო.

# დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით**

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება:

| ლოტი | მისამართი | ქონების დასახელება | საკადასტრო კოდი | ფართობი | **საწყისი საპრივატიზებო ფასი(ლარებში)** | **„ბე“ საწყისი ფასის (ლარებში)** | **„ბიჯი“ საწყისი ფასი (ლარებში)** | **„მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ.დედოფლისწყარო, რუსთაველის ქუჩა | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 52.08.34.157 | 320კვ.მ. | 2000 | 10% | 5% | 100 |

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**
საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.
აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური - ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის $13^{00}$ სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, $13^{00}$ სთ-ზე.
აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, $14^{00}$ სთ-ზე.
მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. №44, მე-3 სართული, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.
აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:
1. განაცხადი, დადგენილი ფორმის მიხედვით;
2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა–220101222; კოდი- 300533390 (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი);
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
აუქციონში მონაწილეს, ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ, გადაეცემა აუქციონის მონაწილის ბილეთი.
აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში, უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.
გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. №44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.
საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40

სააუქციონო კომისია

# ეკა კვალიაშვილის და „ქართული ხმების“ სოლო კონცერტები

***მარტის მეორე ნახევარი კულტურული ღონისძიებებით დახუნძლული აღმოჩნდა დედოფლისწყაროში. მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრმა არაერთ დაუვიწყარ ღონისძიებას უმასპინძლა. პოპულარულმა ავტორ-შემსრულებელმა ეკა კვალიაშვილმა საქართველოს მასშტაბით რეგიონული ტურნე დედოფლისწყაროდან დაიწყო. კულტურის სახლის სცენაზე კვალიაშვილის სოლო კონცერტი 25 მარტს გაიმართა და მასზე დასწრება უფასო იყო. კვალიაშვილმა დამსწრე საზოგადოებას საკუთარი რეპერტუარიდან მათთვის კარგად ნაცნობი ძველი და ახალი სიმღერები შესთავაზა.***

ეკა კვალიაშვილი: „ძალიან თბილად შემხვდნენ დედოფლისწყაროში და ამით უზომოდ ბედნიერი ვარ. კონცერტის დასრულების შემდეგ ისე ლამაზად თოვდა და ფიფქები ისე მოუხდა ამ დღეს, მართლაც საოცარი განწყობა შექმნა. ყველაფერმა არაჩვეულებრივად ჩაიარა, ფანტასტიური მსმენელი იყო, ყველა პოზიტიურად განწყობილი დამხვდა. საერთოდ ერთი მომენტი მომწონს, რომ დარბაზიდან იყო ინტერაქტიული დამოკიდებულება და მაყურებლის ჩართულობა. ყველა ხალისობდა და რა თქმა უნდა, მეც... ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს დარბაზიდან წამოსულ ენერგიას, როგორ განწყობაზე იქნება არტისტი და როგორ დაგმუხტავს მსმენელი, ეს დიდ როლს თამაშობს. ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ რეგიონული ტურნე კახეთიდან დაგვეწყო და პირველი კონცერტი სად, თუ არა დედოფლისწყაროში... ამიტომაც აქედან დავიწყეთ, შემდეგ იქნება საგარეჯო, კახეთის სხვა ქალაქები და ამის შემდეგ უკვე დასავლეთ საქართველოში გადავინაცვლებთ.



დედოფლისწყაროს სცენიდან ადგილობრივ მსმენელს კიდევ ერთი დაუვიწყარი საათნახევარი აჩუქეს. 29 მარტს პროექტი „იქსის“ ორგანიზებით, ასევე რეგიონული ტურნეს ფარგლებში დედოფლისწყაროს ქართული ხმების ტრიო და აჩიკო ნიჟარაძე ეწვივნენ, რომელთაც საოცარი შესრულებით ტრადიციული ქართული სიმღერებით მონუსხეს მაყურებელი. „ქალაქური სიმღერის საღამო“ დედოფლისწყაროში კახეთის გუბერნიის ხელშეწყობით და დედოფლისწყაროს მერიის მხარდაჭერით შედგა. მიუხედავად იმისა, რომ კონცერტზე დასასწრებად ბილეთის ფასი ტრადიციულ ღირებულებაზე მაღალი იყო, საღამომ მაინც დიდი ინტერესი გამოიწვია ადგილობრივებში.

„კმაყოფილი ვართ დედოფლისწყაროში სტუმრობით, მიუხედავად იმისა, რომ უბილეთო მაყურებლებიც შემოვუშვით, მთელი კონცერტის განმავლობაში დარბაზში საოცარი სიჩუმე იყო და ყველა მათგანი ყურადღებით უსმენდა გამომსვლელებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა თაობის მაყურებელს ამგვარი რეპერტუარი მოსწონს. არადა, იცით, რომ უბილეთო მაყურებელი, განსაკუთრებით მოზარდები, ღონისძიების მსვლელობისას ხშირად ხმაურობენ და ხელს უშლიან მსმენელსაც და გამომსვლელსაც. მისასალმებელია ის გარემოებაც, რომ ძალიან ბევრ მშობელს თან ახლდა ბავშვი, კარგია, რომ მშობლები ზრუნავენ, ხარისხიანი სიმღერა მოისმინოს მომავალმა თაობამ და მათთვის მხოლოდ პოპმუსიკა არ იყოს მისაბაძი. მოხარული ვარ, რომ დღევანდელ რეალობაში მოზარდებშიც დიდი ინტერესი აქვს ტრადიციულ ქათულ სიმღერას. ამის დასტური იყო დედოფლისწყაროში გამართული ღონისძიება. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო დედოფლისწყაროს მერს, ნიკოლოზ ჯანიაშვილს, მის მოადგილეებს, დავით ფხოველიშვილს და მალხაზ მერაბიშვილს, მერიის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელს ქალბატონ თამარ თამაზაშვილს, მთლიანად მერიის წარმომადგენლებს და



კულტურის ცენტრის დირექტორს ილია მარტყოფლიშვილს. პირადად მეც კახეთიდან ვარ და სხვა დამოკიდებულება მაქვს ამ რეგიონთან, ამდენად, ძალიან კმაყოფილი დავრჩი,“ – განუცხადა „შირაქს“ ტურნეს ორგანიზატორმა გივი მახაშვილმა.

## მადლიერება

ამ ბოლო წლებში ხშირად მემართება გრიპი თანმდევი სიმპტომებით-ხიხინითა და გახანგრძლივებული ხველით. ვცდილობ, თავი ავარიდო ვირუსებს, გაციებას, მაგრამ ვერ ვიზღვევ თავს. ერთი თვის წინაც პნევმონია დამემართა, ექიმს მივაკითხე, სათანადო მკურნალობაც ჩავიტარე, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემი უყურადღებობით ბოლომდე არ აღმოიფხვრა დაავადება. 29 მარტს თავი შეუძლოდ ვიგრძენი, მაგრამ სამსახურში წასასვლელად მზადება მაინც დავიწყე. მოულოდნელად მუხლები მომეკვეთა, გონება დამებინდა და დავეცი. სასწრაფო დახმარება ოჯახის წევრებმა გამოიძახეს. ექიმმა ნონა კობაიძემ გულდასმით გამსინჯა და ჩემი საავადმყოფოში გადაყვანის გადაწყვეტილება მიიღო. საავადმყოფოში მორიგე ექიმებმა ეკა მანაგაძემ და იამზე ბაღაშვილმა მიმიღეს, გამსინჯეს, ყველანაირი გამოკვლევა ჩამიტარეს და მკურნალობა დამინიშნეს. ხუთი დღე ვიწექი საავადმყოფოში და ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი მკურნალი ექიმის ეკა მანაგაძის, ექთნების:მაკა მჭედლიშვილის, თინიკო ნასრაშვილის, თამრიკო ძამუკაშვილის პროფესიონალიზმის, ყურადღებისა და სითბოსი, რომელსაც ისინი იჩენდნენ არა მხოლოდ ჩემს მიმართ, არამედ ნებისმიერი ავადმყოფის მიმართ. სისუფთავე, რეჟიმი, პუნქტუალურობა, რაც საავადმყოფოში თვალში საცემია, არა მხოლოდ მედპერსონალის, არამედ მათი ხელმძღვანელების-საავადმყოფოს მენეჯერის ხათუნა ზურიკაშვილისა და მისი მოადგილის ვანო ნატროშვილის დიდი დამსახურებაა.

მადლობა ყველას, ვინც ძალ-ღონე არ დაიშურა და ფეხზე დამაყენა.

მზია ქენქაძე–კობაიძე

## ულოცავენ!

### მამა ნიკოლოზს (ლომსაძეს)

მამა ნიკოლოზ, თქვენ ჩემი ოჯახის უახლოესი ადამიანი ხართ. პირველად ჩემი შვილი გია (კორნაპე) გახდა თქვენი მრევლი, მერე ჩვენ. თქვენი სითბო, ყურადღება და დარიგება ყველა ჩვენგანისთვის ძვირფასია. გილოცავთ საიუბილეო 50 წლისთავს და გულწრფელი სიყვარულით და პატივისცემით გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას თქვენს საყვარელ და დიდ ოჯახთან ერთად. მადლობა ჩვენზე ზრუნვისა და ლოცვისათვის. ღმერთი იყოს თქვენი და ჩვენი შემწე.

ლალი ბოჭორიშვილი, ჯიმი, გია (კორნაპე) და ლია ალუღიშვილები ოჯახებით.

## ყურადღება!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის ბაზაზე გაიხსნა **ჭადრაკის კლუბი.** მეცადინეობები მიმდინარეობს სამშაბათს – 14:00 საათზე და შაბათს – 12:00 საათზე. გელოდებით ყველა მსურველს – ასაკის შეუზღუდავად. საკონტაქტო პირი **გიორგი კიკილაშვილი**

☎ 599 22 53 21

საშაურმე **„დავითმა“** განაახლა ფუნქციონირება. აქ მომხმარებელს კვლავ სთავაზობენ შაურმას და გამაგრილებელ სასმელებს. **მისამართი:** ქ. დედოფლისწყარო, რუსთაველის ქ. №53 (სამაშველო სამსახურის მოპირდაპირედ).

☎ 557-23-92-22

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 08.04 | | სამშაბათი 09.04 | | ოთხშაბათი 10.04 | | ხუთშაბათი 11.04 | | პარასკევი 12.04 | | შაბათი 13.04 | | კვირა 14.04 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 10 ° | 8 ° | 12 ° | 10 ° | 13 ° | 11 ° | 11 ° | 9 ° | 14 ° | 12 ° | 13 ° | 11 ° | 14 ° | 12 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ქუქუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.